პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 20 სექტემბერი, 1946 წ. № 189 (7712). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში.

გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა პოლიტწრეებისადმი. მოწინავე (1-ლი გვერდი).
მარიუპოლი. მეტალურგიული ქარხანა „აზოვსტალი“. ამხანაგებს პობორჩის, მამონტოვს, მატროსოვს, ვარაკუტას, კოგანს, რომანკოს, ბუჩელს, ცაპკოვს (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს (1-ლი გვერდი).
ვ. მ. მოლოტოვის განცხადება პოლონეთის დასავლეთი საზღვრების შესახებ (1-ლი გვერდი).
ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესება გადაუდებელი ამოცანაა (მე-2 გვერდი).
დავეხმაროთ კულტურის სახლებსა და კლუბებს მუშაობის გაუმჯობესებაში (მე-2 გვერდი).
პარიზის საზავო კონფერენციაზე (მე-3 გვერდი).
უშიშროების საბჭოში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა პოლიტწრეებისადმი

ჩვენი კადრების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის მთავარ, ძირითად მეთოდს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა წარმოადგენს. ეს მეთოდი შემოწმებულია პრაქტიკით, გამოცდილებით. ის ყველაზე მეტ ნაყოფს იძლევა და პარტიული ორგანიზაციებისაგან მეტ ყურადღებასაც მოითხოვს. მაგრამ ამასთან ერთად არსებობს ბოლშევიზმის დაუფლების მთელი რიგი დამხმარე ფორმები, რომელთა გამოყენებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული კადრების იდეური გამოწრთობა.

კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მნიშვნელოვან ფორმას პოლიტწრე წარმოადგენს. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1938 წლის 14 ნოემბრის ისტორიულ დადგენილებაში—„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“—განსაზღვრა პოლიტწრეების ადგილი პარტიული განათლების სისტემაში. ყველა კომუნისტს როდი აქვს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევა, როდი შეუძლია მომზადებული ამხანაგების დაუხმარებლად შეისწავლოს ბოლშევიზმის ისტორია და თეორია. ასეთ კომუნისტთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა. მათთვის დახმარების ერთ-ერთი ფორმაა პოლიტწრე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილებამდე პოლიტწრეების როლს ბევრი პარტიული ორგანიზაცია გადაჭარბებით აფასებდა. ისინი წრეებს სთვლიდნენ ბოლშევიზმის დაუფლების ძირითად ფორმად. ამჟამად ზოგან მეორე უკიდურესობას აქვს ადგილი—პოლიტწრეების მნიშვნელობას სრულიად არ აფასებენ, მათ არ ხელმძღვანელობენ, მათ არ ქმნიან იქ, სადაც ეს აუცილებელია, ავიწყდებათ, რომ ჯერ კიდევ მრავლად არიან რიგითი კომუნისტები, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკები, რომელთაც არ მოეპოვებათ საკმარისი გამოცდილება თეორიული მომზადების დონის დამოუკიდებლად ამაღლებისათვის, ესაჭიროებათ პროპაგანდისტის ხელმძღვანელობა და დახმარება.

პარტიის წითელწყაროს და კასპის რაიკომებს, რომლებიც ვერც რაიონული აქტივისა და ვერც სოფლის კომუნისტთა თეორიული სწავლების კარგად მოწყობას დაიკვეხნიან, სრულიად უყურადღებოდ აქვთ მიტოვებული პოლიტწრეების მუშაობა. ის მცირეოდენი წრეები, რომლებიც ამ რაიონებში არსებობენ, უზრუნველყოფილი არ არიან კვალიფიციური პროპაგანდისტებით. წრეებში გაერთიანებული არიან არაერთნაირი განათლებისა და პოლიტიკური მომზადების ადამიანები: ერთსა და იმავე პოლიტწრეში შეხვდებით როგორც უმაღლესი ცოდნის, ისე საშუალო და დაბალი განათლების პირებს. ასეთი მდგომარეობა მარტო კასპსა და წითელწყაროში როდია. პოლიტწრეებისადმი ხელმძღვანელობა სუსტია დუშეთის, ადიგენის, ქარელის, ყაზბეგის რაიონებშიც.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილება მიგვითითებს, რომ მას შემდეგ, რაც გამოვარკვევთ იმათ ცოდნასა და შესაძლებლობებს, ვისაც წრეში მეცადინეობის სურვილი აქვს, „მოკლე კურსის“ შესასწავლად უნდა შეიქმნას სამი ტიპის პოლიტწრე: პირველი—კადრების ძირითადი რგოლისათვის, ე. ი. იმათთვის, რომლებიც პარტიის ისტორიას სწავლობენ შემოკლებული მოცულობით და თეორიის საკითხების უფრო მისაწვდომი გადაცემით; მეორე—საშუალო რგოლისათვის, რომლებიც საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს სწავლობენ სრულად, ცალკეული თავების მიხედვით; მესამე—წრეები უფრო მომზადებული ამხანაგებისათვის, რომლებიც პარტიის ისტორიას სწავლობენ თვითეული თავის ქვეგანყოფილებებისა და პირველწყაროების მიხედვით. წრეების ასეთი ორგანიზაციისათვის ზოგიერთი პარტიული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება ნაკლებად იწუხებს თავს. ამიტომ წრეების მუშაობის ნაყოფიც მრავალ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელი ვერ არის. საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება. უნდა ვიცოდეთ, რომ წრე მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას, როცა სწორად არის დაკომპლექტებული.

შემდეგი ნაკლი, რასაც ამ დარგში ადგილი აქვს, ის არის, რომ ზოგან პოლიტწრეების ძლიერ მცირე რიცხვი დაარსეს. ამის გამო ბევრი კომუნისტი, რომელსაც დამოუკიდებელი მუშაობა არ შეუძლია, პოლიტწრის გარეშეა დარჩენილი. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა შეისწავლონ ვინ საჭიროებს წრეს და ვის შეუძლია დამოუკიდებლად მეცადინეობა და მხოლოდ ამის შემდეგ შექმნან იმდენი წრე, რამდენიც საჭიროა. ამასთან წრეების შექმნის დროს უნდა გავითვალისწინოთ კვალიფიციური პროპაგანდისტებით მათი უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

შემდეგ, **საჭიროა** გაუმჯობესდეს პოლიტწრეების მუშაობა. ზოგჯერ წრეში მხოლოდ პროპაგანდისტი აქტიურობს, მსმენელები კი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ამა თუ იმ საკითხის გარჩევაში. ეს დიდი ნაკლია. წრეების მუშაობა აგებულ უნდა იქნას ცოცხალი საუბრისა და ამხანაგური დისკუსიის მეთოდზე. წრის წევრთა აქტიურობა მათი წარმატების ერთ-ერთი საფუძველია.

საჭიროა თავიდან ავიცილოთ პოლიტწრეების მუშაობის კიდევ ერთი ძირითადი ნაკლი, როდესაც განუსაზღვრელი დრო ეთმობა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის პირველი თავების შესწავლას, ხოლო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომი პერიოდი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, შეუსწავლელი რჩება. ასეთი წრეები ბევრია. ისინი ერთ ადგილს ტკეპნიან და პარტიის ისტორიის მთლიანად შესწავლას წლების მანძილზე ვერ აღწევენ.

პოლიტწრის მუშაობის ხარისხს არსებითად პროპაგანდისტი სწყვეტს. ამიტომ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა პროპაგანდისტების შერჩევასა და აღზრდას, პროპაგანდისტთა სემინარის მუშაობისადმი ხელმძღვანელობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

პოლიტწრეებისადმი ხელმძღვანელობა სერიოზული საქმეა. მას უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მოვეპყროთ. საჭიროა გვახსოვდეს, რომ სწორედ პოლიტწრეა ის საფეხური, სადაც კომუნისტი ეჩვევა დამოუკიდებელ მეცადინეობას, სადაც კვალიფიციური და თავისი საქმის მოყვარული პროპაგანდისტის ყოველდღიური დახმარებით წრის მსმენელებს უმუშავდებათ ინტერესი და ხალისი თეორიის დაუფლებისადმი. პოლიტწრე პარტიული განათლების მნიშვნელოვანი ფორმაა. სრულად გამოვიყენოთ ეს ფორმა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

უკანასკნელი ცნობები

ბულგარეთის ყოფილი მეფე ბულგარეთიდან გაემგზავრა

სოფია, 17 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ ყოფილი მეფის საგვარეულოს ყველა წევრმა ბულგარეთი დასტოვა. ისინი გაემგზავრნენ ეგვიპტეს.

უოლესის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ტრუმენთან მეტად ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, რამაც ორნახევარ საათზე მეტ ხანს გასტანა, ვაჭრობის მინისტრმა უოლესმა პრესის წარმომადგენლებს შემდეგი განცხადება გაუკეთა:

„პრეზიდენტსა და ვაჭრობის მინისტრს დაწვრილებითი და მეგობრული საუბარი ჰქონდათ, რომლის შედეგადაც მინისტრი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი აღარ უნდა გამოვიდეს არავითარი საჯარო განცხადებით ან სიტყვით მანამდე, სანამ საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია არ დამთავრდება პარიზში“.

უოლესმა უპასუხა პრესის წარმომადგენელთა კითხვებზე და განაცხადა, რომ იგი რჩება კაბინეტის შემადგენლობაში. თხოვნაზე — განმეორდეს მისი განცხადების ის ნაწილი, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი არ გამოვა არავითარი საჯარო განცხადებით ან სიტყვებით, უოლესმა განაცხადა, რომ იგი არ გამოვა არავითარი საჯარო განცხადებით ან სიტყვით არცერთ საკითხზე.

უოლესს პოლიტიკური სიტყვა უნდა წარმოეთქვა 24 სექტემბერს პროვიდენსში (როდ-აილენდის შტატი) პოლიტიკური მოქმედების კომიტეტის მიერ მოწყობილ მიტინგზე.

საფრანგეთის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება

პარიზი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ დამფუძნებელმა კრებამ 242 ხმით 212 ხმის წინააღმდეგ უარჰყო „თავისუფლების რესპუბლიკური პარტიის“ წინადადება საარჩევნო კანონის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.

ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტილიის მანევრები

ლონდონი, 19 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, მალტიდან დღეს მანევრებზე გავიდა ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტილია. მანევრები ერთ თვეზე მეტ ხანს გასტანს. იმ ნავსადგურთა შორის, სადაც ფლოტილია ჩავა, არის გემებისათვის მისაწვდომი საბერძნეთის ყველა ნავსადგური. ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტილია შესდგება ოთხი კრეისერის, ერთი ავიანოსის, 7 საესკადრო ნაღმოსნისა და 2 წყალქვეშა ნავისაგან.

მარიუპოლი

მეტალურგიული ქარხანა „აზოვსტალი“ ამხანაგებს პობორჩის, მამონტოვს, მატროსოვს, ვარაკუტას, კოგანს, რომანკოს, ბუჩელს, ცაპკოვს

ულოცავ ქარხანა „აზოვსტალის“ მშენებლებსა და მეტალურგებს გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული № 4 ბრძმედის აღდგენას, რომელიც უდიდესია სამხრეთში.

№ 4 ბრძმედის აღდგენა მოწინავე საბჭოთა სამშენებლო ტექნიკის სერიოზული წარმატებაა და სამხრეთის მეტალურგიის აღორძინების საქმეში შეტანილი დიდი წვლილია.

ახლა თქვენს წინაშე დგას უახლოესი ამოცანა მთლიანად აღადგინოთ ქარხნის ომამდელი სიმძლავრე და ხელახლა ააგოთ ბლუმინგი და რელსის კოჭების დაზგა.

გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

ი. სტალინი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „აზოვსტალსტროის“ მშენებლებსა და მემონტაჟეებს და შავი მეტალურგიის სამინისტროს ქარხანა „აზოვსტალის“ მეტალურგებს ბედნიერება აქვთ მოგახსენონ თქვენ, რომ მარიუპოლის ქარხანა „აზოვსტალის“ № 4 ბრძმედი 1.300 კუბური მეტრის მოცულობისა მთლიანად აღდგენილი და ამოქმედებულია.

10 სექტემბერს ბრძმედმა პირველი თუჯი მოგვცა.

მექანიზმების შემოწმებამ, ღუმელის ანთებამ და თუჯის გამოშვებამ კარგად ჩაიარა და სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა საუკეთესო ხარისხი გვიჩვენა.

ბრძმედი აღდგენილია სრული კომპლექსით: ორთქლ-ჰაერსაბერავი სადგურით, გაზსაწმენდით და მთელი სატრანსპორტო ნაგებობებით.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ქარხანა „აზოვსტალს“ უდიდესი ზარალი მიაყენეს. მათ ააფეთქეს ქარხნის ყველა ძირითადი ნაგებობა. № 4 ბრძმედი დანგრეულ იქნა ძირითადი სვეტების აფეთქებით, რის შედეგადაც ბრძმედის შახტმა სამნახევარი მეტრით დაიწია, ღერძს 1,3 მეტრით დაშორდა და ოცი გრადუსით გადაიხარა.

მშენებლებმა გაბედულად განახორციელეს მთელი ბრძმედის ტექნიკურად რთული აწევა და გასწორება უდემონტაჟოდ.

აღდგენის გაბედული განხორციელებული მეთოდის შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარდა ბრძმედის ამუშავება და ერთისამად შემცირდა სამუშაოთა შრომატევადობა.

ქარხანა „აზოვსტალის“ მშენებლები და მეტალურგები დაუღალავად განაგრძობენ მუშაობას მშობლიური ქარხნის აღსადგენად. მიმდინარე წელს ამუშავებული იქნება ორი მძლავრი მარტენის ღუმელი და საკოქსე ბატარია ქიმიურ საამქროთა სრული კომპლექსით.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ სამხრეთის მეტალურგიის გიგანტი—ქარხანა „აზოვსტალი“ ახალ ხუთწლედში მთლიანად იქნება აღორძინებული.

მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ტრესტ
„აზოვსტალსტროის“ მმართველი **პობორჩი**
„აზოვსტალსტროის“ მთავარი ინჟინრის მოადგილე **მამონტოვი**
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი
„აზოვსტალსტროიში“ **მატროსოვი**
მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე **ვარაკუტა**
შავი მეტალურგიის სამინისტროს ქარხანა „აზოვსტალის“
დირექტორი **კოგანი**
ქარხანა „აზოვსტალის“ მთავარი ინჟინერი **რომანკო**
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი
ქარხანა „აზოვსტალში“ **ბუჩელი**
„აზოვსტალის“ საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **ცაპკოვი**

ბელორუსი ხალხის ზეიმი

მინსკი, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბელორუსიის მშრომელებმა საზეიმოდ აღნიშნეს ბელორუსიის ერთიან საბჭოთა სახელმწიფოში ბელორუსი ხალხის გაერთიანების მეშვიდე წლისთავი. ისტორიული დღის აღსანიშნავად ქალაქები და სოფლები სადღესასწაულოდ მოირთვნენ. ყველგან გაიმართა საზეიმო კრებები.

ბელორუსიის ათიათასობით მშრომელი დღესასწაულს ახალი შრომითი წარმატებებით შეეგება. პოლოცკის ოლქის საბჭოთა მეურნეობების მუშებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების წლიური გეგმა. გროდნოს ოლქის ძელუდოკის რაიონის კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა გლეხებმა ვადამდე დაამთავრეს საშემოდგომო თესვა. ბრესტის, გროდნოს და სხვა ოლქების მხვნელ-მთესველებმა დამამზადებელ პუნქტებში გაგზავნეს წითელი ქარავნები მარცვლეულით.

ჩრდილოეთ კორეის კულტურისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში

ჩრდილოეთ კორეის კულტურისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში ხუთი დღის ყოფნის დროს ეცნობოდა ქალაქ თბილისის ისტორიულ და ღირსშესანიშნავ ადგილებს, რესპუბლიკის სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საწარმოების მუშაობას.

დელეგაციამ ინახულა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სადაც დაათვალიერა ქართველი ხალხის უძველესი მატერიალური კულტურის ექსპონატები და ძეგლები.

დელეგაციის წევრები იყვნენ ამხანაგ სტალინის სამშობლოში ქალაქ გორში. აქ დელეგატებმა დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა. აგრეთვე დაათვალიერეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მუზეუმი. ქალაქ გორის დათვალიერებამ სტუმრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

თბილისში დაბრუნებისას ჩრდილოეთ კორეის კულტურისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეთა დელეგაციამ ინახულა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო უნივერსიტეტის ცხოვრებასა და მუშაობას, დაათვალიერა ლაბორატორიები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, დაესწრო ლექციებს. სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ლაბორატორია და ესაუბრნენ მეცნიერ-ფიზიოლოგს აკადემიკოს ი. ბერიტაშვილს.

დელეგაციის წევრები ესაუბრნენ უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ნ. კეცხოველს, უნივერსიტეტის პროფესორებსა და მასწავლებლებს. სტუმრები აგრეთვე შეხვდნენ უნივერსიტეტის სტუდენტებს, ესაუბრნენ მათს ცხოვრებასა და სწავლაზე.

ამის შემდეგ დელეგაციამ ინახულა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, სადაც იგი მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ. სტუმრები გაეცნენ აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობას, საქართველოში მეცნიერების განვითარებას.

დელეგაციის წევრები იყვნენ თბილისის მაუდის ფაბრიკაში, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში, თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე და სხვ.

ჩრდილოეთ კორეის კულტურისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეთა დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრმა ამხ. ვ. მაჭავარიანმა. სტუმრები გაეცნენ კინოსურათების წარმოებას თბილისის კინოსტუდიაში. კინოსტუდიის გასასინჯ დარბაზში სტუმრებს უჩვენეს თბილისის კინოსტუდიის ორი ფილმი: „საბჭოთა საქართველოს 25 წელი“ და „დავით გურამიშვილი“.

თბილისში ყოფნის დროს დელეგაცია დაესწრო წამყვანი თეატრების სპექტაკლებს. ლენინის ორდენოსან რუსთაველის სახელობის დრამატიულ თეატრში სტუმრებმა ნახეს ს. შანშიაშვილის პიესა „არსენა“, მარჯანიშვილის სახელობის დრამატიულ თეატრში — ვაჟა-ფშაველას პიესა „მოკვეთილი“. თბილისის ლენინის ორდენოსან ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სტუმრებმა მოისმინეს ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

17 სექტემბერს საღამოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ნ. მიქავამ ჩრდილოეთ კორეის კულტურისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეთა დელეგაციის პატივსაცემად მიღება მოაწყო. მიღებას დაესწრნენ ქალაქ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

18 სექტემბერს დელეგაცია თბილისიდან სტალინგრადს გაემგზავრა. აეროდრომზე სტუმრები გააცილეს უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ნ. მიქავამ და უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა. (საკდესი).

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება პოლონეთის დასავლეთი საზღვრების შესახებ

პოლონეთის პრესის სააგენტოს წარმომადგენელმა პარიზში ბ-ნმა ბიბროვსკიმ თხოვნით მიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს გამოეთქვა საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ ბირნსის მიერ შტუტგარტში წარმოთქმული სიტყვის გამო, სადაც, როგორც ცნობილია, ბ-ნმა ბირნსმა განაცხადა, რომ პოლონეთის დასავლეთი საზღვრების საკითხის გადაწყვეტა საბოლოო არ არის.

ვ. მ. მოლოტოვი დათანხმდა დაეკმაყოფილებინა პოლონეთის პრესის სააგენტოს წარმომადგენლის თხოვნა და ამის გამო შემდეგი განაცხადა:

ბ-ნმა ბირნსმა 6 სექტემბერს შტუტგარტში წარმოთქმულ სიტყვაში სთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა მეთაურები ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე შეთანხმდნენ გადასცენ პოლონეთის სახელმწიფოს მმართველობაში სილეზია და გერმანიის სხვა ყოფილი აღმოსავლეთი რაიონები. მაგრამ მათ არ გამოუტანიათ გადაწყვეტილება მშვიდობიანი მოწესრიგების დროს მხარი დაუჭირონ პოლონეთისათვის რაიმე კონკრეტული ტერიტორიის გადაცემას და რომ პოლონეთისათვის გადასაცემი ტერიტორიის მოცულობა უნდა განისაზღვროს მაშინ, როცა მოხდება საბოლოო მოწესრიგება. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმას, რომ ასეთმა განცხადებამ შეიძლება ეჭვი გამოიწვიოს პოლონეთის ახლანდელი დასავლეთი საზღვრების სიმტკიცეში და ამიტომ არ შეიძლება ამის უპასუხოდ დატოვება.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევჩერდეთ ზოგიერთ ფაქტებზე.

უწინარეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ სახელდობრ რა გადასწყვიტა ბერლინის კონფერენციამ. როგორც ცნობილია, სამი მთავრობის მეთაურები ამ კონფერენციაზე შეთანხმდნენ, რომ სვინემიუნდესა, ოდერსა და დასავლეთ ნეისეს აღმოსავლეთით მდებარე ყოფილი გერმანული ტერიტორიები უნდა იმყოფებოდნენ პოლონეთის სახელმწიფოს მმართველობაში და რომ პოლონეთის დასავლეთი საზღვრის საბოლოო დადგენა უნდა გადაიდოს საზავო კონფერენციამდე. ეს გადაწყვეტილება წარმოადგენდა სამი სახელმწიფოს ყირიმის კონფერენციის დადგენილების მხოლოდ შესრულებას, რომელმაც მანამდე ნახევარი წლით ადრე აღიარა, რომ პოლონეთმა ტერიტორიის არსებითი მიმატება უნდა მიიღოს ჩრდილოეთით და დასავლეთით. ამრიგად, ბერლინის კონფერენციამ შეასრულა მხოლოდ ის, რაც ჯერ კიდევ დასახული იყო ყირიმის კონფერენციაზე რუზველტის მონაწილეობით, და მისი გადაწყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს რაღაც შემთხვევითად, დროებითი ვითარების გავლენით მიღებულად. პირიქით, პოლონეთის დასავლეთი საზღვრის ოდერსა და დასავლეთ ნეისეზე გადაწევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლებმა. ამას უნდა დავძინოთ, რომ საფრანგეთის მთავრობა აგრეთვე დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბერლინის კონფერენცია თავის გადაწყვეტილებას პოლონეთის ახალი დასავლეთი საზღვრის შესახებ, სჩანს შემდეგიდან. ამ კონფერენციაზე მიღებული იყო აგრეთვე მეორე გადაწყვეტილება — გერმანიაში გერმანული მოსახლეობის გადაყვანის შესახებ იმ ტერიტორიიდან, რომელიც პოლონეთს გადაეცა. რამდენადაც ამის შესახებ გამოქვეყნებული იყო, საჭირო არ არის დეტალებზე შეჩერება.

ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებანი როდი დარჩენილა ქაღალდზე. ბერლინის კონფერენციის შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგნენ მათს განხორციელებას. უკვე წელიწადზე მეტია, რაც პოლონეთის დასავლეთი საზღვარი გადის სვინემიუნდე-ოდერ-დასავლეთ ნეისეს ხაზზე. ამ ხაზიდან აღმოსავლეთით მდებარე მთელი ტერიტორიის მართვა უკვე მეორე წელია პოლონეთის მთავრობის ხელშია. ჯერ კიდევ 1945 წლის 20 ნოემბერს საკონტროლო საბჭომ გერმანიაში დაამტკიცა პოლონეთიდან გერმანული მოსახლეობის გასახლების გეგმა. ამ გეგმის თანახმად დაიწყო სამნახევარი მილიონი გერმანელის გადასახლება პოლონეთიდან გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა და ინგლისურ ზონებში. მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე დღემდე ეს გადასახლება შეუჩერებლივ გრძელდება. ორ მილიონზე მეტი გერმანელი უკვე გადასახლებულია პოლონეთიდან გერმანიის ტერიტორიაზე, ამასთან ნახევარზე მეტი გადასახლებულია ინგლისურ ზონაში. გასახლებული გერმანელების ნაცვლად იქ ასახლებენ პოლონელებს პოლონეთის სხვა რაიონებიდან. პოლონეთის დასავლეთ მიწებზე უკვე დასახლებულია რამდენიმე მილიონი პოლონელი. ყოველივე ეს კარგად იციან ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა, ისევე როგორც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. მოყვანილი ფაქტებიდან სჩანს, თუ რა სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები გადაწყვეტილებას პოლონეთის დასავლეთი საზღვრების გადაწევის შესახებ, და რომ ისინი სრულიადაც არ მოქმედებდნენ იმ საფუძველზე, რომ ეს გადაწყვეტილება მომავალში რამენაირად გადასინჯულიყო.

იმის დამოწმება, რომ ბერლინის კონფერენციას საჭიროდ მიაჩნდა პოლონეთის დასავლეთი საზღვრების საბოლოოდ დაწესება გადაედო საზავო კონფერენციამდე, რა თქმა უნდა, სწორია. ფორმალური მხარე სწორედ ასეთია. არსებითად კი, სამმა მთავრობამ თავისი აზრი გამოსთქვა მომავალი დასავლეთი საზღვრის შესახებ და პოლონეთის მთავრობის მმართველობაში გადასცა სილეზია და ზემოაღნიშნული ტერიტორიები, გარდა ამისა, მიიღო გეგმა ამ ტერიტორიებიდან გერმანელების გასახლების შესახებ. ვის მოუვა აზრად, რომ გერმანელების ეს გამოსახლება წამოწყებულია მხოლოდ დროებითი ექსპერიმენტის სახით? იმათ, ვინც ღებულობდა გადაწყვეტილებას ამ ტერიტორიებიდან გერმანელების გასახლების შესახებ, რათა იქ მაშინვე დაესახლებინათ პოლონელები პოლონეთის სხვა რაიონებიდან,—იმათ არ შეუძლიათ რამდენიმე ხნის შემდეგ წამოაყენონ წინადადება ჩატარებულ იქნას საწინააღმდეგო ღონისძიებები. თვით აზრი ასეთი ექსპერიმენტების შესახებ, რომლებშიც მილიონობით ადამიანი მონაწილეობს, წარმოუდგენელია, თუ აღარაფერს ვიტყვით მის სისასტიკეზე როგორც პოლონელების მიმართ, ისე თვით გერმანელების მიმართ.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებამ, რომელსაც ხელს აწერენ ტრუმენი, ეტლი და სტალინი, უკვე დაადგინა პოლონეთის დასავლეთი საზღვრები და მოელის მხოლოდ თავის გაფორმებას საერთაშორისო კონფერენციაზე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების გამო. მთავრობების მეთაურთა ხელმოწერები სწორედ იმიტომ სარგებლობენ ხალხების ასეთი მაღალი პატივისცემით, რომ ყველამ იცის იმ გადაწყვეტილებათა ურყევი ძალა და მორალური ავტორიტეტი, რომლების ქვეშაც ეს ხელმოწერებია.

მართალია, პოლონეთის დასავლეთი საზღვრების შესახებ ბ-ნ ბირნსის სიტყვის ცალკე ფორმულირებებს შეუძლიათ გამოიწვიონ ესა თუ ის ეჭვი ამ საკითხში ზოგიერთი ამერიკული წრეების პოზიციების სიმტკიცეში. მაგრამ, მეორე მხრივ, სავსებით ცხადია, რომ ასეთი საკითხები არ შეიძლება იყოს რაღაც წარმავალი პოლიტიკური ანგარიშების საგანი.

პოლონეთის დასავლეთი საზღვრების შესახებ ბერლინის კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილება არაფრით არ შეიძლება შერყეულ იქნას. ფაქტები უკვე მოწმობენ, რომ ამის გაკეთება ახლა უკვე შეუძლებელია.

ასეთია საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი.

მე დამრჩენია წარმატება ვუსურვო პოლონელ მეგობრებს მათს უდიდეს აღდგენითს მუშაობაში დასავლეთის მიწებზე და რწმენა გამოვთქვა დემოკრატიული პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მტკიცე მეგობრობასა და ძმურ თანამშრომლობაში.

საკდესი უარჰყოფს

გენერალ მაკარტურის შტაბის ორგანომ გაზეთმა „სტარს ენდ სტრაიპსმა“ ამ დღეებში გამოაქვეყნა რომელიღაც „მაღალი ოფიციალური პირის“ ინტერვიუ, რომელიც თითქოს ამ „პირს“ „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის“ სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიუცია ტოკიოში.

ინტერვიუ ამ „მაღალი ოფიციალური პირისა“, რომელსაც თავისი გვარის გულახდილად ჩვენება ვერ გაუბედავს, შეიცავს მთელ გროვა ფანტასტიკურ ჭორებს იმის შესახებ, რომ „ჩრდილოეთ კორეაში თავმოყრილია რუსული ჯარების იმდენად დიდი რაოდენობა, რომ მას შეუძლია ომის შემთხვევაში მეორე დუნკერკი განახორციელოს“, იმის შესახებ, რომ „რუსები [illegible] სტოვებენ იაპონელთა სულ მცირე ერთ ან ორ დივიზიას“, რომ „იაპონელი გენერლები და ოფიცრები საბჭოთა სკოლებში სწავლობენ“, და სხვა ამგვარ სისულელეს.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამგვარი სიცრუისა და პროვოკაციების გავრცელება, რაც ჰერსტის „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის“ [illegible] სააგენტოს დიდიხანია სჩვევია, მხოლოდ მორიგი პროვოკაციული მოგონილია, რომელსაც არავითარი საფუძველი არ მოეპოვება.

პარტიული ცხოვრება

რატომ უთხრეს უარი რეკომენდაციის მიცემაზე?

კომკავშირელი ნიკოლოზ მიქაშავიძე სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართული დრამის წამყვანი მსახიობი, დისციპლინიანი და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. ის თეატრის კოლექტივისა და მაყურებლების პატივისცემით სარგებლობს. ყველგან, სადაც ნიკოლოზს უმუშავნია, მოწინავე მუშაკად ითვლებოდა. სამამულო ომის პერიოდში შაშხანით ხელში ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ის მონაწილეობდა კავკასიის დაცვისა და ქერჩის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. მის დამსახურებაზე საბრძოლო ჯილდოები მეტყველებენ. წითელი არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მან მუშაობა დაიწყო სოხუმის სახელმწიფო თეატრში. გასულ თეატრალურ სეზონში ის ქართულ დადგმებში წამყვან როლებს ასრულებდა. მის მიერ როლების ნიჭიერად შესრულება არაერთხელ აღნიშნულა გაზეთების ფურცლებზე.

როგორც მოწინავე კომკავშირელმა და საბჭოთა სამშობლოს ერთგულმა პატრიოტმა, ნ. მიქაშავიძემ განიზრახა ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში შესვლა. რეკომენდაციისათვის მან კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტს მიმართა. საქალაქო კომიტეტმა მას რეკომენდაცია მისცა. ეს იყო მიმდინარე წლის 11 აპრილს. მაგრამ ვიდრე ამხ. მიქაშავიძე ბიუროს ოქმის ამონაწერს მიიღებდა, საქალაქო კომიტეტში მასზე შეხედულება შეეცვალათ და რეკომენდაციის გაცემა შეაჩერეს.

საქმე შემდეგშია:

ამხ. ნ. მიქაშავიძე დიდი ხანია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე თანამშრომლობს და მოწინავე კორესპონდენტად ითვლება. მიმდინარე წელს გაზეთმა მისი რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა დაბეჭდა. მარტის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ შენიშვნაში ის აკრიტიკებდა კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტს კომკავშირული ოთახის მოწყობისადმი უყურადღებობისათვის. წერილში მოყვანილი ფაქტები საქალაქო კომიტეტის ბიურომ მთლიანად დაადასტურა. ეს იმ დღეს იყო, როცა მიქაშავიძეს საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში შესასვლელი რეკომენდაცია მისცეს. ბიუროს სხდომაზე საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. გ. ურიდიას ამხ. მიქაშავიძის წინააღმდეგ კრიტიკა არ დაუძრავს. ბიურომ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, თუმცა მათი განხორციელებისათვის შემდეგში თავი არ შეუწუხებიათ—კომკავშირული ოთახი კვლავ ბედის ანაბარად არის მიტოვებული.

ერთი თვის შემდეგ (ე. ი. მაისში) გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა პატარა ფელეტონი სოხუმის სახელმწიფო თეატრის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ფელეტონში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ზომების მიღების ნაცვლად კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გამოიძახა კორესპონდენტი.

— დღესვე თბილისს დავუკავშირდები და გაზეთში წერას აგიკრძალავ. მე შენ გასწავლი, როგორ უნდა კრიტიკაო,—უთხრა ამხ. ურიდიამ ამხ. მიქაშავიძეს.

შემდეგ ამხ. მიქაშავიძეს კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. თ. თოდუასთან გამოუძახეს. ამხ. თოდუამ უარესი დღე დააყენა მას კრიტიკისათვის.

ნ. მიქაშავიძემ კვლავ შეიტანა განცხადება კომკავშირის საქალაქო კომიტეტში რეკომენდაციის მიცემის თაობაზე. საქალაქო კომიტეტის ბიურომ ეს განცხადება 31 აგვისტოს განიხილა. ამხ. მიქაშავიძეს საბოლოოდ უთხრეს უარი რეკომენდაციის მიცემაზე. უარის მოტივი ბიუროს ოქმში 6 სექტემბრისაც არ იყო ჩაწერილი. ქალაქკომის მდივანმა ამხ. ურიდიამ კი რეკომენდაციის მიცემაზე უარის მიზეზი შემდეგნაირად „დაასაბუთა“:

— უდისციპლინოა, რაც გამოიხატება ჩემთან ხმამაღლა ლაპარაკში. ამასთან მან ბიუროზე გამაკრიტიკა, რასაც ბიუროს წევრებიც ისმენდნენ.

აშკარაა, რომ კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტი არასწორ გზას დაადგა. საჭიროა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი დაინტერესდეს ამ ფაქტით, შეამოწმოს, როგორ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა კომკავშირის სოხუმის ორგანიზაციაში და დასახოს სათანადო ღონისძიებანი.

ს. შონია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა თელავის რაიონული პარტიული აქტივის თეორიული სწავლების საკითხი, აღნიშნა სერიოზული დეფექტები ამ დარგში, ამავე დროს დასახა სათანადო ღონისძიებანი მხილებულ ნაკლოვანებათა უახლოეს ხანში გამოსასწორებლად. ამავე საკითხზე გაზეთმა „კომუნისტმა“ მოათავსა კრიტიკული წერილი.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული წერილის შემდეგ თელავის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მუშაობა გააძლიერეს. აღდგენილია პარტაქტივის სემინარი, სადაც გაერთიანებულია 90 კაცი. მეცადინეობა მიმდინარეობს თვეში ორჯერ. პარტიული აქტივის თეორიული სწავლების საკითხზე ჩატარდა სპეციალური თათბირი.

აქტივმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი თეორიის შესწავლას. ეს განსაკუთრებით ითქმის სახელმწიფო ბანკის თელავის განყოფილების მმართველის ამხ. კ. შავაძის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. ყარაულაშვილის, რაიმიწგანის გამგის ს. პაატაშვილის, რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ რედაქტორის ს. ქოჩლაძის, განათლების განყოფილების გამგის ა. ნადაშვილის, რაიფინგანის გამგის გ. სიდამონიშვილის შესახებ. აქტივის უმეტესობა პარტიის გმირულ ისტორიას პირველი წყაროების მიხედვით სწავლობს. ამხ. შავაძე ამჟღავნებს ღრმა ცოდნას როგორც პარტიის ისტორიის, ისე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში; იგი სისტემატურად ესწრება პარტკაბინეტში კონსულტაციებს, სარგებლობს დამხმარე ლიტერატურით, წაკითხულის შეთვისების გასაადვილებლად ადგენს „სამახსოვროს“.

ამხ. ნადაშვილი „მოკლე კურსის“ შესწავლას შეუდგა დამხმარე წყაროების გამოყენებით. ამჟამად კითხულობს მარქსის „კაპიტალს“, ენგელსის წიგნს „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, ლენინის „სახელმწიფო და რევოლუციას“.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად პარტკაბინეტში ყოველდღიურად შემოღებულია კონსულტანტთა მორიგეობა, აქტივისათვის ეწყობა თეორიული საუბრები, ლექციები და მოხსენებები.

მიუხედავად ამისა, აქტივის თეორიული სწავლების საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. კვლავ იშვიათად ტარდება თეორიული საუბრები, სუსტია წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი დახმარება. აქტივის ნაწილი პარტკაბინეტში არ დადის, არ ცხადდება სემინარის მეცადინეობაზე. უკანასკნელი მეცადინეობა უმიზეზოდ გააცდინეს ქ. არუთინოვმა, გ. მაღრაძემ, მ. ახიმოდაშვილმა, ნ. შიუკაშვილმა და ა. გიოშვილმა. ზოგიერთი ამხანაგი კვლავ არ ზრუნავს თავისი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ასეთები არიან რაიმიწგანის უფროსი აგრონომი პ. ბერუჩაშვილი, მტს-ის დირექტორი ა. კოხრეიძე, რაისატყეო მეურნეობის დირექტორი რ. ჰანკვეტაძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. ყურშიტაშვილი, რომელიც მხილებული იყო გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე, თელავის ძაფსალები ფაბრიკის სამეურნეო ნაწილის უფროსი ქ. გეურქოვი, რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე ქ. ჯაშიაშვილი და სხვები.

პარტიული და საბჭოთა აქტივის თეორიული სწავლების საკითხი ამ დღეებში განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის პლენუმმა. მოხსენებით გამოვიდა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. რ. გობეჯიშვილი. კამათში მონაწილეობა მიიღო 9 ამხანაგმა. პლენუმზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ს. დონაძემ.

პლენუმმა აგრეთვე მოისმინა მეორე საკითხი—საშემოდგომო ხვნის მიმდინარეობა და თესვისათვის მზადება თელავის რაიონში.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა თელავის რაიკომის მდივანი ამხ. გ. სეხნიაშვილი.

ორივე საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

კ. იარალოვი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სწავლობენ ი. ბ. სტალინის თხზულებათა I ტომს

თბილისის მაუდის ფაბრიკისა და ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კომუნისტებმა დაიწყეს ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველ ტომში შესული ნაშრომების შესწავლა. ეწყობა ჯგუფური საუბრები, კონსულტაციები ცალკეულ საკითხებზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ამხანაგ სტალინის ნაშრომების შემსწავლელთა დასახმარებლად. პარტკაბინეტში რაიონული აქტივისათვის ჩატარდა ორი ლექცია, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში — 6 ლექცია, მოწყობილია ი. ბ. სტალინის თხზულებათა I და II ტომებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესება გადაუდებელი ამოცანაა

ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულება დიდად არის დამოკიდებული ქვანახშირის მრეწველობაზე. გარდა მოპოვებითი სამუშაოების გაფართოებისა, უახლოეს წლებში მთავარ ამოცანად რჩება ზრუნვა ამოღებული ქვანახშირის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

მაღალხარისხოვანი და დახარისხებული (გაცხრილული) ქვანახშირის გამოყენება საწარმოებს უადვილებს მაღალი მაჩვენებლების მოპოვებას, უზრუნველყოფს წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას. ქვანახშირის ხარისხს განსაზღვრავს მასში ნაცრიანობის, გოგირდის და სინესტის რაოდენობა. ნაცრიანობა დამოკიდებულია ქვანახშირში მინარევი ფუჭი ქანის რაოდენობაზე, ხოლო ეს უკანასკნელი — თვით ქვანახშირის ფენის თვისებაზე, სამთო სამუშაოების სისტემასა და მეთოდზე. მოპოვებული ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უმეტეს შემთხვევებში საჭირო ხდება მისგან ფუჭი ქანის მოშორება ანუ ქვანახშირის გამდიდრება (გაუხვება). განსაკუთრებით საკოქსე ქვანახშირისათვის წინასწარი გამდიდრება თითქმის ყოველთვის აუცილებელია.

ენერგეტიკულ ქვანახშირში ნაცრიანობის ყოველი ზედმეტი პროცენტი ერთი კილოგრამი ორთქლის თვითღირებულებას 3-5 პროცენტით ადიდებს. ასევე, ნაცრიანობის ყოველი ერთი პროცენტი 81,4 კალორიით ამცირებს ქვანახშირის თბოუნარიანობას. ამასთან, ზედმეტი ნაცრიანობა ქვანახშირში ზრდის სატრანსპორტო ხარჯებს და იწვევს რკინიგზის გადატვირთვას. შეიძლება ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: 1950 წელს საქართველოში მოპოვებული იქნება 2.400 ათასი ტონა ქვანახშირი. ამ რაოდენობის ქვანახშირის ნაცრიანობის ერთი პროცენტით შემცირება გაათავისუფლებს რესპუბლიკის რკინიგზას წელიწადში 1.333 თვრამეტტონიანი ვაგონის დატვირთვისა, გადატანისა (დახლოებით 200-250 კილომეტრის მანძილზე) და განტვირთვისაგან, ხოლო თუ მექანიკური გამდიდრების საშუალებით ნაცრიანობას შევამცირებდით 14-16 პროცენტით, მაშინ ყოველწლიურად საჭირო აღარ იქნებოდა დაახლოებით 20 ათასი ვაგონის დატვირთვა, გადატანა და განტვირთვა.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საკოქსე ქვანახშირის გამდიდრებას. გამორკვეულია, რომ საკოქსე ქვანახშირში ნაცრიანობის ყოველი ერთი ზედმეტი პროცენტი კოქსის ნაცრიანობას 1,33 პროცენტით ადიდებს, ხოლო კოქსში ნაცრიანობის ყოველი ერთი ზედმეტი პროცენტი თუჯის გამოდნობას ორნახევარი-სამი პროცენტით ამცირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვანახშირის ნაცრიანობის ერთი პროცენტით შემცირებისას შესაძლებლობა გვეძლევა დამატებით გამოვადნოთ მრავალი ათასი ტონა თუჯი. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ქვანახშირში გოგირდისა და სინესტის შემცირებას.

საქართველოს ქვანახშირი ბუნებრივად მაღალი ნაცრიანობით ხასიათდება და აუცილებლად საჭიროებს გამდიდრებას. ჩვენს შახტებში ქვანახშირის გამდიდრების ძირითად მეთოდად მიღებულია ფუჭი ქანის ხელით ამორჩევა. ცხადია, ეს მეთოდი ვერ უზრუნველყოფს ნახშირის ნაცრიანობის მნიშვნელოვან შემცირებას, რადგან ფუჭი ქანის ამორჩევა ხდება მხოლოდ მოზრდილი ნატეხებისაგან, ისიც არასრულად, ხოლო წვრილი ფხვიერი ნახშირი გაუმდიდრებელი რჩება.

ტყვარჩელში არის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, მაგრამ მთელი რიგი ტექნიკური დეფექტების გამო ის ჯერ კიდევ მცირე დატვირთვით მუშაობს, ვერ იძლევა ხარისხის ეფექტურ გაუმჯობესებას. ტყიბულში ქვანახშირის გამდიდრებას ხელით აწარმოებენ, ხოლო გელათის მაღაროში ეს საქმეც არ არის მოგვარებული. ამიტომ იყო, რომ განვლილ თვეებში გელათის მაღარომ 900 ტონა წუნდებული ქვანახშირი გაუგზავნა მომხმარებლებს.

ჩვენს ტრესტებს არსებული საშუალებებითაც შეუძლიათ მიაღწიონ ნახშირის ხარისხის საგრძნობ გაუმჯობესებას, თუ მეტ ყურადღებას მიაქცევენ არა მარტო რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ ხარისხის გაუმჯობესების საკითხებსაც.

ავიღოთ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტი (უფროსი ამხ. რ. როინაძე). იგი მოწინავეა მთელს რესპუბლიკაში. სისტემატურად ასრულებს ქვანახშირის მოპოვების გეგმებს, მაგრამ არასაკმაოდ ზრუნავს ნახშირის ხარისხის გასაუმჯობესებლად. იქ დანიშნულებისამებრ არ იყენებენ შტატით გათვალისწინებულ მიწისქვეშა ფუჭი ქანის ამომრჩევლებს. ხშირად არღვევენ მიწისქვეშა გამონამუშევრების გამაგრებისა და ბურღვა-აფეთქების სამუშაოთა წესებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შახტიდან გამოტანილი ქვანახშირი 20-25 პროცენტს ხილვად მინარევებს შეიცავს და საშუალო ნაცრიანობა 45-46 პროცენტს აღწევს.

ქვანახშირის ხელით გაუხვების საქმე ტყვარჩელის გამამდიდრებელ ფაბრიკაშიც (დირექტორი ამხ. იაკობაშვილი) სათანადოდ არ არის მოგვარებული. ხშირად მუშები სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ და ფუჭი ქანის ამორჩევაზე რვა-ათი კაცის ნაცვლად 5-6 მუშაობს. ცუდია ელექტროგანათება ფუჭი ქანის ამორჩევის ადგილას. ეს ნაკლოვანებებია მიზეზი, რომ გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშაობის პირობებშიც ტყვარჩელიდან გამოგზავნილ ქვანახშირს ხარისხის გაუმჯობესება არ ეტყობა.

ქვანახშირის საექსპლოატაციო ტრესტების, შახტებისა და უბნების ხელმძღვანელების ამოცანაა გააძლიერონ ყოველდღიური ზრუნვა ხარისხის საკითხებზე, მიაღწიონ იმას, რომ შახტიდან გამოტანილი ქვანახშირი დასაშვებ ნორმაზე მეტ ფუჭ ქანს არ შეიცავდეს. უნდა მოწესრიგდეს შახტიდან გამოტანილი ქვანახშირის ხილვად ფუჭ ქანზე წუნდების საქმე. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელებმა საჭიროა უზრუნველყონ გამამდიდრებელი ფაბრიკის სრული სიმძლავრით გამოყენება და მოპოვებული ქვანახშირის მთელი რაოდენობის სველი წესით გამდიდრება. ამისათვის უნდა დაჩქარდეს ფაბრიკის სამტვრევი განყოფილების გაფართოება, ფაბრიკის მომზადება 1947 წელს მაღალხარისხოვანი საკოქსე კონცენტრატის გამოსაშვებად. საჭიროა დაჩქარდეს აგრეთვე გამამდიდრებელი ფაბრიკისათვის წყალსადენის გაყვანა, რაც მინდობილი აქვს ტყვარჩელშახტმშენს.

ქვანახშირის მრეწველობას მალე ძალიან დიდ მოთხოვნებს წაუყენებს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელსაც დასჭირდება ხარისხოვანი ნახშირი. ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირები კი ძნელად გასამდიდრებელთა ჯგუფს ეკუთვნიან. საკოქსე კონცენტრატის გამოსავლის გადიდების მიზნით საჭირო იქნება ქვანახშირის გამდიდრების უფრო ეფექტური მეთოდები — გამდიდრება მძიმე სითხეებში და შლამების ფლოტაცია. ამჟამად სამთო ინსტიტუტში აწარმოებენ წინასწარ ცდებს ტყვარჩელის ქვანახშირის გამდიდრების ეფექტური მეთოდების შერჩევისა და ტექნოლოგიური სქემის შედგენისათვის. ეს მეთოდი მალე იქნება დადგენილი.

შეუძლებელია მხედველობიდან გავუშვათ ქვანახშირის რაციონალურად გამოყენების საკითხი. არის შემთხვევები, როცა მომხმარებელს ეგზავნება ისეთი ხარისხისა და თვისების ქვანახშირი, რომელიც ამ წარმოებაში არსებულ საცეცხლურებზე არ იძლევა წვის მაღალ ეფექტურობას, ხშირად ხელსაც უშლის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას. ასევე ხშირია შემთხვევები, როცა მომხმარებელი ხან ტყიბულის ქვანახშირს იღებს და ხან ტყვარჩელისას. მათ კი სხვადასხვა თვისებები და ხარისხი აქვთ, ისინი წვის სხვადასხვა პირობებს მოითხოვენ. შეგვიძლია მოვიყვანოთ პურის პირველი ქარხნის მაგალითი. ამასწინათ ქარხანამ მიიღო ტყვარჩელის ქვანახშირის მნიშვნელოვანი რაოდენობა. მაგრამ ამ ნახშირს შეცხობის თვისება აქვს და ქარხანაში არსებული წვის რეჟიმს არ შეესაბამება. ამის გამო ქარხნის მუშაობა შეფერხდა, მაშინ როცა ქარხანას საუცხოოდ შეუძლია იმუშაოს ტყიბულის ნახშირზე, სხვა საწარმოებს კი ტყვარჩელის ქვანახშირი ესაჭიროებათ.

ცუდად ვიყენებთ დახარისხებულ ნახშირსაც. ამიერკავკასიის ქვანახშირის მომარაგების ტყიბულის კონტორას მითითება აქვს მიცემული არ დაუშვას დახარისხებული სათბობის ერთმანეთში შერევა, თუნდაც მცირე რაოდენობით. მაგრამ მომხმარებლებს მაინც ხშირად აწოდებენ ერთდაიმავე დროს რამდენიმე ხარისხის ქვანახშირს. თბილისის ლუდის მესამე ქარხანაში ამჟამად ოთხნაირი ხარისხის ქვანახშირია საწყობებში. ასეთივე მდგომარეობაა ძეგვის კირის ქარხანაში.

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს შესწავლილ იქნას ქვანახშირის ძირითად მომხმარებლებთან არსებული საწვავი დანადგარები, ამის შესაბამისად მომხმარებლებს მიეცეს მათთვის საჭირო თვისების, ხარისხისა და სიმსხოს ქვანახშირი. თავის მხრივ სათბობის მომხმარებლებიც უნდა ზრუნავდნენ ქვანახშირის ხარისხისათვის. ცოტა როდია ისეთი შემთხვევა, როცა ხარისხი უარესდება თვით მომხმარებლის ტერიტორიაზე სათბობის შესაფერი ადგილის მოუწყობლობის გამო. საჭიროა ქვანახშირის მომხმარებლებმა იზრუნონ მიღებული სათბობის კარგად შენახვისათვის, წესიერ მდგომარეობაში იქონიონ საწყობები, თავიდან აიცილონ ქვანახშირის ხარისხის გაუარესების შესაძლებლობა.

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში გამდიდრების დარგის სპეციალისტები ცოტანი არიან. ამასთან, ქვანახშირის გამდიდრების შესახებ ქართულ ენაზე არ არსებობს არავითარი ლიტერატურა, არც ერთი სახელმძღვანელო წიგნი. ქვანახშირის გამდიდრების სპეციალისტთა კადრების დაჩქარებით მომზადება და ქართულ ენაზე სათანადო ლიტერატურის გამოცემა გადაუდებელი საქმეა. საჭიროა პოპულარულად დაწერილი წიგნი, რომლითაც ყოველ მეშახტეს შეეძლება ისარგებლოს.

გადაჭრით გავაუმჯობესოთ ქვანახშირის ხარისხი, შევამციროთ მისი ნაცრიანობა—ასეთია მეშახტეთა გადაუდებელი ამოცანა.

ლ. მესარქიშვილი

დავეხმაროთ კულტურის სახლებსა და კლუბებს მუშაობის გაუმჯობესებაში

ჩვენი პრესის ფურცლებზე წავიკითხეთ ხელოვნების ორგანიზაციათა წარმომადგენლების მოწოდება კულტურის სახლებისა და კლუბებისათვის მოსახლეობის კულტურულ მომსახურებაში დახმარების აღმოჩენის თაობაზე. სავსებით ვეთანხმებით მოწოდების ავტორებს, რომ ამ დაწესებულებათა მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებისა და მისი პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეში. ეს დაწესებულებები ხელს უწყობენ ახალგაზრდა ნიჭიერი ძალების გამოვლინებას, რომელთაც შეუძლიათ იმუშაონ სასცენო ხელოვნების ასპარეზზე, მომღერალთა გუნდებში, ქორეოგრაფიულ ანსამბლებში, სახვით ხელოვნებაში, ლიტერატურაში და სხვა.

საკლუბო დაწესებულებებმა მეტი უნარი რომ გამოიჩინონ, მათი მუშაობა უფრო გეგმიანი რომ იყოს, ამისათვის საჭიროა ხელოვნების დარგის მუშაკთა დახმარებით ავამაღლოთ თვითმოქმედი მხატვრული წრეების წევრთა კულტურული დონე, ხელი შევუწყოთ მათ გაწვრთნას. ჩვენ, ხელოვნების მუშაკნი, თეატრალური საზოგადოების წევრები, ამას კარგად ვგრძნობთ, დროულად მიგვაჩნია ასეთი საკითხის წამოყენება; მისი განხორციელებისათვის ბრძოლა დაუყოვნებლივ უნდა გაიშალოს. ჩვენის მხრივ ვიძლევით სიტყვას რითაც კი შეგვიძლია ხელი შევუწყოთ საკლუბო დაწესებულებათა თვითმოქმედი მხატვრული წრეების მუშაობის გაშლა-გაუმჯობესებას.

საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მჭიდრო კავშირი გააბას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კომიტეტთან, გაუწიოს მას ამ მხრივ საჭირო დახმარება.

მოვუწოდებთ საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყველა წევრს, საერთოდ ხელოვნების ყველა მუშაკს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ საკლუბო დაწესებულებათა მხატვრული თვითმოქმედი წრეების მუშაობას, არ მოაკლონ მათ მზრუნველობა, გაუწიონ დახმარება შემოქმედებითი დონის ამაღლებასა და ახალგაზრდა ნიჭიერი ძალების გამოვლინება-აღზრდაში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრნო! ხელოვნების მუშაკნო! საქმით გამოეხმაურეთ ჩვენს მოწოდებას!

სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ვასაძე;

საქართველოს სახალხო არტისტები: ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, შ. დადიანი, გ. დავითაშვილი, ე. აფხაიძე, ა. ბეროიანი, ვ. ნინიძე, პ. კობახიძე, ნ. ხარაძე, ა. წუწუნავა, დ. ანდღულაძე, დ. ანთაძე, პ. ამირანაშვილი, ა. თაყაიშვილი, ს. ზაქარიაძე, პ. ფრანგიშვილი, ა. ხმირანინი;

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი: დ. ალექსიძე, ვ. ტაბლიაშვილი, ა. ფაღავა, დ. ძნელაძე, მ. კვალიაშვილი, ს. ქელიძე, ა. ჩხარტიშვილი, ნ. გოძიაშვილი, გ. ჟურული;

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ბ. კრაველიშვილი, ი. ბოდროვი, ზ. ჩაბიევა;

რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი პ. მურღულია, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი მ. დუდუჩავა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი ი. გვინჩიძე, სათეატრო მუზეუმის სწავლული მდივანი ს. გერსამია;

დოცენტები: მ. მრევლიშვილი და დ. ჯანელიძე, რეჟისორები: კ. ანდრონიკაშვილი და ა. მიქელაძე, ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის წევრი ნ. შესტოვი.

უდანაკარგოთ ავიღოთ და გადავამუშაოთ ყურძნის მოსავალი

(თათბირი საბჭოთა მამულების ტრესტში)

1946 წლის ყურძნის მოსავლის აღებისა და გადამუშავების საკითხებზე საბჭოთა მამულების ტრესტში შესდგა თათბირი. მოხსენება გააკეთა საბჭოთა მამულების ტრესტის მთავარმა მეღვინემ ამხ. მგალობლიშვილმა.

წელს ვენახების დამუშავება და მკურნალობა უკეთესად მოეწყო შარშანდელთან შედარებით. საბჭოთა მამულების ტრესტის ხაზით უნდა დამზადდეს 162.500 ცენტნერი ყურძენი. ამ მიზნით გაფართოვდა ყურძნის გადამუშავების ბაზა. მეურნეობებს დამატებით მიეცათ მანქანა-იარაღები, რომლებიც ზრდიან ქარხნების გამტარუნარიანობას და გადამუშავებისას დანაკარგები მინიმუმამდე დაჰყავთ. მიღებული ღვინის ნაწარმიდან წელს დასაძველებლად გამოიყოფა 300.000 დეკალიტრი, ნაცვლად შარშანდელი 270.000 დეკალიტრისა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცნობილი ევროპული ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებას, ამასთან კახური და იმერული ტიპის ღვინოების დამუშავების გაუმჯობესებას.

ყურძნის კრეფა-გადამუშავებისათვის სუსტად ემზადებიან ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, ქუთაისისა და ვანის ქარხნების სამმართველოები. მათ საკმაო რაოდენობით არ მოუმარაგებიათ ღვინის ჭურჭელი. მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები და ქარხნები ნაკლებ ინიციატივას იჩენენ საშენ მასალათა ადგილობრივად გამოძებნის საქმეში.

ჩვენს წინაშე დგას სერიოზული ამოცანა,—სთქვა საბჭოთა მამულების ტრესტის დირექტორმა ამხ. პ. სოხაძემ,—წლევანდელი წლის ყურძნის მოსავლიდან ღვინის გამოშვება ადგილობრივი მრეწველობის ჩათვლით ავიყვანოთ 1.200.000 დეკალიტრამდე. საამისოდ ყველა პირობა გვაქვს. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მასობრივი ღვინოების გამოშვებას, როგორიც არის, მაგალითად. კახური და იმერული. ყურძნის მოსავლის კარგად გადამუშავებასთან ერთად აუცილებელია საბჭოთა მეურნეობებმა გააჩაღონ საშემოდგომო სამუშაოები, პირველ რიგში, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარონ პლანტაჟი.

საბჭოთა მეურნეობების დირექტორები ნაკლებად ზრუნავენ ორგანული სასუქების დამზადებისათვის. ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ახლოს აქვს დიდძალი სასუქი, მაგრამ პლანტაციებში მის შესატანად თავს არავინ იწუხებს.

კაპიტალური დაბანდების შესრულება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 7.800 ათასი მანეთიდან პირველი აგვისტოსათვის ათვისებულია 3.718 ათასი მანეთი. ჩამორჩნენ ხირსის, ბოლნისის და ქარელის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობები.

საჭიროა ენერგიული ზომები მივიღოთ ყურძნის მოსავლის აღებისა და გადამუშავების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახულ ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა კ. მოდებაძემ, გ. კანდელაკმა (წინანდლის საბჭოთა მეურნეობის მთავარი მეღვინე), პ. კიკვიძემ (გურჯაანის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე). ვ. ბარბაქაძემ (ვარციხის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), ა. ფიქრიშვილმა (თელავის ღვინის ქარხნის სამმართველოს დირექტორი), ა. გოგსაძემ (მაიაკოვსკის ღვინის ქარხნის დირექტორი), დ. შარაშიძემ (ხირსის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), ა. სესიაშვილმა, ა. მახარაშვილმა და სხვ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა ამხ. ზ. ქეცხოველმა, რომელმაც დამსწრეთ მოუწოდა ყურადღება გაამახვილონ რთველის ორგანიზებულად ჩატარებისა და ყურძნის გადამუშავების გაუმჯობესების საკითხებზე.

თათბირმა შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი ყურძნის უდანაკარგოდ აღება-გადამუშავების უზრუნველსაყოფად.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო მეთოდი

პროფესორ მ. უგრელიძის კლინიკაში მოიყვანეს ცხრა წლის ჯაფარია მანარხანოვა. მას ტუბერკულოზურ პერიტონიტთან ერთად მარჯვენა ფილტვის ინფილტრატიც ჰქონდა. ავადმყოფი უიმედო მდგომარეობაში იყო. კლინიკაში მომუშავე ექიმი ელ. დათუშიძე მაინც შეუდგა ბავშვის მზით მკურნალობას. ავადმყოფი რამდენიმე დღეღამე ღია ცის ქვეშ ამყოფეს. იცავდნენ წინასწარ დადგენილ რეჟიმს. ჰაერით მკურნალობის ოცდახუთმა დღემ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ბავშვი მალე მოღონიერდა, პროცესი შეუჩერდა.

ტუბერკულოზიანი ავადმყოფის მზითა და ჰაერით მკურნალობა სპეციალისტებმა პირველად სვანეთში მოაწყეს. მათ ჩაატარეს მთელი რიგი ცდები და საუკეთესო შედეგი მიიღეს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით სვანეთში მოეწყო საბავშვო მოედნები, რომლებიც ჯანმრთელობის ნამდვილ კერებად იქცნენ.

მზით მკურნალობის მეთოდი ექიმმა დათუშიძემ ქალაქ ქუთაისის საბავშვო კერაშიც გამოიყენა. მკურნალობის შედეგი ყოველთვის კარგი იყო.

1939 წელს თბილისში პეტრიაშვილის ქუჩაზე გამოიყო შენობა ბავშვთა ბაგისათვის. აქაც ბაგის მოწყობას იგივე პრინციპი დაუდეს საფუძვლად —ჰაერითა და მზით უზრუნველყოფა. აქვე ჩატარდა ჯირკვლებდაავადებული ბავშვების ჰაერით მკურნალობის ცდები, რამაც თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო. ბავშვების დიდი უმრავლესობა სრულიად გაჯანსაღდა.

პირველ ხანებში მეცნიერული თეორია ემყარებოდა იმ აზრს, რომ ტუბერკულოზის მკურნალობა მზით მხოლოდ მაღალ ადგილზე შეიძლებოდა. ცდებმა და დაკვირვებებმა დაამტკიცეს, რომ ბარის მზეც არანაკლებ მოქმედებს ტუბერკულოზზე. მზით მკურნალობა შესაძლებელია ყველგან, საჭიროა მხოლოდ სამკურნალო რეჟიმის დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ მზითა და ჰაერით მკურნალობა ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცევა სამკურნალო საბავშვო ბაღების მოწყობას. ამ ნაკლის გამოსწორება ჯანმრთელობის დაცვის დარგის მუშაკთა ღირსების საქმეა.

მ. ვარდოსანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზის საზავო კონფერენციაზე

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის შესახებ

საერთო კამათის დამთავრება

პარიზი, 16 სექტემბერი. (საქინის სპეც. კორ.). დღეს იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში დამთავრდა საერთო კამათი ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის შესახებ. სიტყვები წარმოსთქვეს იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურმა კარდელმა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წარმომადგენელმა სენატორმა კონელმა.

კარდელის სიტყვა

კარდელმა მოაგონა კომისიის წევრებს, რომ ტრიესტისა და მისი ზურგის ინტერესები ერთ განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენენ, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იუგოსლავიას და მის ხალხებს აქვთ იმის უდავო უფლება, რომ ტრიესტი შეუვსებელი ყოფილიყო მათს თანამშრომლობაში. მაგრამ იმისათვის, რომ საერთო თანხმობა განხორციელდეს, იუგოსლავია დაეთანხმა ტრიესტის ინტერნაციონალიზაციის პრინციპს.

მიუხედავად ამისა, ფაქტები მოწმობენ, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც ტრიესტისა და იუგოსლავიის მჭიდრო კავშირის შენარჩუნების წინააღმდეგ ილაშქრებენ, დაინტერესებული არიან არა ამ ქალაქისა და ნავსადგურის ინტერნაციონალიზაციით, არამედ სულ სხვა რამით. მე თავი ვერ დამიღწევია იმ შთაბეჭდილებისათვის,—ამბობს კარდელი, — რომ აქ საქმე ეხება საერთოდ არა ტრიესტისათვის ზრუნვას და არა იტალიის რაღაც უფლებების დაცვას. საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ იუგოსლავიას და ტრიესტის მთელ ზურგს დაუხშონ დაუბრკოლებელი ეკონომიური გასასვლელი ადრიატიკის ზღვაზე.

კარდელს მოჰყავს ინგლისური და ამერიკული პრესის მოსაზრებანი ამ საკითხზე და აღნიშნავს, რომ, როგორც ამ მოსაზრებებიდან სჩანს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ფრიად გავლენიანი წრეები ზრუნავენ უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას ბრიტანეთის უპირატესობა ხმელთაშუა ზღვაზე, იმისათვის, რომ ხმელთაშუა ზღვის გარშემო ძლიერი „რკინის ფარდა" დაეშვას.

ყველამ იცის,—განაგრძობს კარდელი, — რომ იუგოსლავიას არა სურს და არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ვინმეს ხმელთაშუა ზღვაში „უპირატესობისათვის". მით უმეტეს უცნაურია, რომ ინგლისური და ამერიკული პრესის უდიდესი ნაწილი ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს დაამტკიცოს, თითქოს იუგოსლავია ვიღაცას ემუქრება ხმელთაშუა ზღვაზე ან თითქოს საბჭოთა კავშირს იუგოსლავიის ტრიესტის მეშვეობით შეუძლია საფრთხე შეუქმნას ვიღაცის უპირატესობას. კარდელი ხაზგასმით აღნიშნავს იმ მხარდაჭერის პრინციპულ და კეთილსინდისიერ ხასიათს, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს მცირე იუგოსლავ ხალხს, რომელიც, როგორც იქნა, გაერთიანდა ერთ ჭერქვეშ. გასაგებია,—ამბობს იგი,—რომ ყველა იმას, ვინც მიჩვეულია ძველ საერთაშორისო პოლიტიკის სტილს, ევროპული პოლიტიკის სტილს, საბჭოთა კავშირის გულწრფელი, არაეგოისტური დახმარება მცირე ხალხებისადმი მაშინვე საეჭვოდ ეჩვენება იმ მხრივ, რომ მან შეიძლება საფრთხე შეუქმნას რომელიღაც სხვა დიდ სახელმწიფოს ინტერესებს. ხოლო დადგა დრო, როცა მცირე ხალხები აღარ შეიძლება განხილულ იქნან „გავლენის სფეროდ", ექსპლოატაციის ობიექტებად, ვიღაცის ძრიად საერთაშორისო კონფერენციებზე ხმის მიცემისათვის. დადგა დრო შეიგნონ, რომ მცირე ხალხებს სურთ ნამდვილად თავისუფალი და დამოუკიდებელი იყვნენ. შესაძლოა, დღემდე მცირე ხალხის თავისუფალი და გაბედული ხმა საერთაშორისო კონფერენციებზე ჯერ კიდევ იშვიათად გაისმის, მაგრამ ასეთი ხმები აუცილებლად გამრავლდება.

კარდელი მოაგონებს კომისიის წევრებს — იუგოსლავია მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ ტრიესტის მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილ იქნას სრული თვითმმართველობა, რომ ტრიესტისათვის უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიური აყვავება და რომ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს თანასწორი უფლებებით მიეცეს შესაძლებლობა თავისუფლად და შეუზღუდავად ისარგებლოს ტრიესტის ნავსადგურით. მაგრამ ამ წინადადებებსაც წინააღმდეგობას უწევენ ის სახელმწიფოები, რომლებიც ზრუნავენ ხმელთაშუა ზღვაზე თავიანთი უპირატესობის შენარჩუნებისათვის. ისინი გაიძახიან, რომ სურთ დაიცვან ტრიესტი ეგრეთწოდებული „იუგოსლავიის საფრთხისაგან" და რომ მათ მიერ წამოყენებული სტატუტები, თითქოს მხოლოდ ამ მიზნით ითვალისწინებენ ტრიესტში დიქტატორული უფლებებით აღჭურვილი გუბერნატორის დანიშვნას და ტრიესტში უცხოეთის ჯარების შეყვანის შესაძლებლობას. ასეთ ღონისძიებათა ნამდვილი აზრი კი ისაა, რომ შეიქმნას ახალი ბაზები, ახალი დასაყრდენი პუნქტები სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისა; ამ ბაზების შექმნისათვის ზრუნავენ სწორედ ის სახელმწიფოები, რომლებიც გაიძახიან საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოჩვენებითი საშიშროებაზე ხმელთაშუა ზღვაში. კარდელი იმოწმებს „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში" გამოქვეყნებულ ლიპმანის სტატიას, რომელიც აშკარად იძლევა წინადადებას გადაიდოს იტალიის საზღვრის საკითხის გადაწყვეტა იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა უფლება შეინარჩუნონ თავისი ჯარები იყოლიონ ამ საზღვარზე.

შემდეგ კარდელი აყალიბებს იუგოსლავიის დელეგაციის მიერ წამოყენებული სტატუტის პროექტის ძირითად პუნქტებს, რომლებიც ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს: ინტერნაციონალიზაციას, თავისუფალ ქალაქ ტრიესტისა და იუგოსლავიის რეალურ უნიას და ტრიესტის მოსახლეობის დემოკრატიულ უფლებათა დაცვას:

1. თავისუფალ ქალაქ ტრიესტის ტერიტორიაზე სუვერენობის მატარებელია ხალხი. თავის ამ სუვერენულ ძალაუფლებას იგი ახორციელებს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული სახალხო კრების მეშვეობით. საკანონმდებლო ძალაუფლება სახალხო წარმომადგენლობის ხელშია. საკანონმდებლო ძალაუფლების ერთადერთი შეზღუდვა ის ვალდებულებაა, რომ თავისუფალ ქალაქ ტრიესტის კონსტიტუცია და მთელი კანონები სტატუტის ფარგლებში უნდა იყოს.

2. აღმასრულებელი ძალაუფლება ეკუთვნის თავისუფალ ქალაქ ტრიესტის მთავრობას, რომელიც ინიშნება სახალხო კრების მიერ და პასუხისმგებელია მის წინაშე. მთავრობას ემორჩილებიან ხელისუფლების ყველა ორგანო და მთელი შეიარაღებული ძალები, რომლებიც საჭიროა წესრიგისა და მშვიდობის დასაცავად. ამავე დროს ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც აგრეთვე დემოკრატიულ არჩევითობას ეყრდნობა, ხელმძღვანელობს ავტონომიური ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების საქმეებს.

3. კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს ყველა მოქალაქეთათვის, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, ენისა, რასისა და სარწმუნოებისა, ადამიანის და მოქალაქის ძირითადი უფლებანი.

4. სასამართლოს წყობილება ემყარება მოსამართლეთა სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრინციპს.

5. თავისუფალ ქალაქ ტრიესტის მოქალაქეობას იღებენ ის პირები, რომლებიც ტრიესტის მცხოვრებნი იყვნენ 1918 წლის 28 ოქტომბრისათვის (ავსტრია-უნგრეთის მონარქიის დაშლის მომენტისათვის), აგრეთვე ტრიესტის ყველა მცხოვრებნი, რომლებმაც გაიარეს 1936 წლის აღწერა და განაგრძობენ ტრიესტის ტერიტორიაზე ცხოვრებას. მოქალაქეობა არ მიენიჭებათ მხოლოდ იმ იტალიელ გადმოსახლებულებს, რომლებიც სამხედრო დამნაშავენი არიან, ან თვალსაჩინო ფაშისტები, ფაშისტთა ფუნქციონერები, ფაშიზმის დროს სახელმწიფო მოსამსახურენი იყვნენ. არცერთი მოქალაქე, რომელიც დღემდე იტალიის ქვეშევრდომი იყო, ძალდატანებით არ იქნება გადაყვანილი ტრიესტის მოქალაქეობაში. ყველასათვის შენარჩუნებულია ოპციის (მოქალაქეობის არჩევის) უფლება. იმ პირებს, რომლებიც ფაშისტური რეჟიმის მიერ დევნის გამო იძულებული იყვნენ ტრიესტიდან გადასახლებულიყვნენ, უფლება ეძლევათ დაბრუნდნენ.

6. ტრიესტის ნავსადგური ინტერნაციონალიზებულ უნდა იქნას, ხოლო იუგოსლავიას უფლება მიეცეს მოაწყოს იქ თავისი თავისუფალი ზონა. ნავსადგურის ის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო ბრუნვისათვის არ იქნება გამოყენებული, თავისუფალი ქალაქის მმართველობაში უნდა დარჩეს.

7. რეალური უნია ტრიესტსა და იუგოსლავიას შორის თავის გამოხატულებას პოულობს სამონეტო ხელშეკრულებით, საბაჟო უნიით, რკინიგზებისა და ფოსტა-ტელეგრაფის კავშირგაბმულობის ერთობლივი მმართველობით, შრომისა და სამუშაოს მიცემის ერთიერთ თავისუფლებით, პირთა და საქონელთა შეუზღუდავი მოძრაობით. იუგოსლავიას უნდა დაეკისროს მოვალეობა ტრიესტის ინტერესთა წარმომადგენლობას ეწეოდეს საზღვარგარეთ.

8. ყველა ტვირთი, რაც ტრიესტის თავისუფალი ნავსადგურით იგზავნება, გავლის თავისუფლებით უნდა სარგებლობდეს და თავისუფლებოდეს საბაჟო გადასახდელებისაგან იუგოსლავია-ტრიესტის საბაჟო უნიის ტერიტორიაზე.

9. თავისუფალი ქალაქი ტრიესტი სარგებლობს სრული დამოუკიდებლობით, რაც გარანტირებულია უშიშროების საბჭოს მიერ, და რეალურ უნიაში იმყოფება იუგოსლავიასთან. თავისუფალი ქალაქის ტერიტორია ნეიტრალური და დემილიტარიზებულია.

10. თავისუფალი ქალაქის საერთაშორისო სტატუტის გამოყენებას კონტროლს უწევს უშიშროების საბჭოს მაღალი კომისარი.

11. იმ საკითხებში, რომლებიც იუგოსლავიის ინტერესებს რეალურ უნიასთან დაკავშირებით, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობას ეწევა თავისუფალი ქალაქის გუბერნატორი.

12. როგორც უშიშროების საბჭოს მაღალ კომისარს, ისე თავისუფალი ქალაქის გუბერნატორს უფლება არა აქვთ რაიმე მხრივ შელახონ ტრიესტის მოსახლეობის თვითმმართველობის უფლება.

დებულებას დროებითი მთავრობის შესახებ აწესრიგებს სტატუტის სპეციალური დამატება. იუგოსლავიის დელეგაცია წინადადებას აყენებს, რომ ახლანდელმა სამხედრო მმართველობამ თავისი არსებობა შესწყვიტოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ. უნდა შეიქმნას სამოკავშირეთაშორისო კომისია ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთაგან, რომელიც განახორციელებს მაღალი კომისრის ძალაუფლებას დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარებამდე და ამ დამფუძნებელი კრების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნამდე. ეს კომისია ვალდებულია შექმნას იტალიელთა და იუგოსლავთა წარმომადგენლებისაგან დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრის ყველა ჯგუფთან კონსულტაციის საფუძველზე დროებითი მთავრობა და დროებითი საკონსულტაციო კრება, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ძალაუფლებას განახორციელებენ სამოკავშირეთაშორისო კომისიის კონტროლით, დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარებამდე.

დასასრულ კარდელმა ანალიზი გაუკეთა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის იმ პროექტებს, რომლებიც წამოყენებულია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციების მიერ. კარდელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილი პროექტი უზრუნველყოფს ტრიესტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლების სრულ დამოუკიდებლობას და მხედველობაში იღებს იუგოსლავიასთან ტრიესტის ეკონომიური თანამშრომლობის ბუნებრივ აუცილებლობას, თუმცა არ გამოდის რეალური უნიიდან, როგორც ამ თანამშრომლობის ფორმიდან. მან განაცხადა, რომ დანარჩენი სამი პროექტის საფუძველი სულ სხვანაირია.

ბრიტანეთის, ამერიკისა და საფრანგეთის პროექტების საერთო ნიშანი ის არის, რომ ისინი არსებითად ათავისუფლებენ ტრიესტს... თავისუფლებისა, დემოკრატიისა და თვითმმართველობისაგან. დემოკრატიის შეზღუდვანი, რაც წამოყენებულია, კერძოდ, ბრიტანეთის პროექტით, იმას იწვევს, რომ თავისუფალი არჩევნები თვითმიზნად იქცევა და არა იმ საშუალებად, რომლითაც ხალხი შეიძლებს განახორციელოს თავისი ძალაუფლება. ხალხის ნების თავისუფალი გამოხატვა ფუჭ ფორმალობად იქცევა, ვინაიდან გუბერნატორს დიქტატორის უფლებები ეძლევა.

კარდელი სავსებით დაეთანხმა აღნიშნული პროექტების ამომწურავ კრიტიკას, რომელსაც საბჭოთა დელეგაციის მეთაურის მოლოტოვის სიტყვა შეიცავს.

უცნაური იქნებოდა გვეფიქრა, — სთქვა კარდელმა, რომ ტრიესტის მოსახლეობა როდესმე შეურიგდება უუფლებობას. ათეული წლების მანძილზე ტრიესტის დემოკრატიული მასები უაღრესად აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ დემოკრატიულ უფლებათათვის. ტრიესტი მუდამ ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრი იყო იტალიელთა და სლოვენთა შორის მუშათა დემოკრატიული მოძრაობისა. ფაშისტთა ბატონობის დროს ტრიესტის მოსახლეობა ბრძოლას ეწეოდა მჩაგვრელების წინააღმდეგ. ახლა როგორღა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტრიესტის თავისუფლებისმოყვარე მოსახლეობა შეურიგდება რომელიმე უცხოელ კოლონიური გუბერნატორის დიქტატურას?

სტატუტის ამ სამივე პროექტს ერთგვარი ანტიიუგოსლავიური ელფერი ახასიათებს, — სთქვა კარდელმა. იმ პრაქტიკის მიხედვით, რომელიც დღევანდლამდე ხორციელდებოდა, ჩვენ შეგვიძლია თითქმის არ დავეჭვდეთ, რომ გუბერნატორი—ისეთი, როგორადაც მას ამ სამი პროექტის ავტორები ითვალისწინებენ ერთ-ერთი იმ სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იქნება, რომლებიც იუგოსლავიასთან ტრიესტის შეერთების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტრიესტი გადაიქცევა იმ სახელმწიფოს ბაზად, რომლის გავლენის ქვეშაც გუბერნატორი იქნება.

შეეხო რა ავსტრალიის დელეგაციის წინადადებას ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის კონტროლისათვის უშიშროების საბჭოსადმი დაქვემდებარებული რომელიღაც საერთაშორისო ორგანოს შექმნის შესახებ, კარდელი მთლიანად შეუერთდა ამ წინადადების კრიტიკას, რომელიც მოცემულია მოლოტოვის მიერ. მან აღნიშნა, რომ ასეთი წინადადების განხორციელება იქნებოდა ტრიესტის ბედის გადაცემა იმ სახელმწიფოთა ჯგუფის ხელში, რომელთაც „ტრიესტის კომიტეტში" უმრავლესობა ეყოლებათ. ამით ეგრეთწოდებული ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია აშკარად და ცხადად იქნებოდა ჩაყენებული ჩვეულებრივი სამანდატო კოლონიის რიგში, ამასთან რაიმე კონტროლიც კი არ იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრივ. ავსტრალიის როგორც ბევრი სხვა შესწორება, ისე ეს შესწორებაც მცირე ხალთა ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

თავისი სიტყვის დასასრულს კარდელმა იმედი გამოსთქვა, რომ ორატორები, რომლებიც ესოდენ ხშირად გამოდიოდნენ „დემოკრატიის ჩემპიონების" როლში სან-ფრანცისკოს, ლონდონსა და პარიზში, გამოვლენ ტრიესტის სტატუტის არადემოკრატიული პროექტების კრიტიკით.

შემდეგ სიტყვა მიეცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელ სენატორ კონელს.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის კონელის სიტყვა

კონელმა განაცხადა, რომ ტრიესტის პრობლემა საზავო კონფერენციის წინაშე მდგომი ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა. „ეს არის ბირთვი ყველა საკითხისა, რომლებიც კონფერენციამ უნდა განიხილოს",—სთქვა მან.

კონელი ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განსაკუთრებული ინტერესები არა აქვთ ტრიესტის რაიონში. იგი მოუწოდებდა მიეღოთ თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის ამერიკული პროექტი. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა გაიხსენა კომისიას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში ტრიესტის საკითხის განხილვის ისტორია. ექსპერტთა მუშაობის შემდეგ მინისტრების საბჭომ მოიწონა იტალია-იუგოსლავიის საზღვრის ფრანგული ხაზი. მინისტრების საბჭომ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის შექმნის შესახებ და გადაწყვიტა მიანდოს უშიშროების საბჭოს ამ ტერიტორიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტი უნდა მოიწონოს უშიშროების საბჭომ, რომელიც ამ საკითხზე მოხსენებას წარუდგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას. ამ გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

კონელმა წაიკითხა ძირითადი დებულებანი იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის მე-16 მუხლისა, რომელიც ტრიესტს ეხება. მან ხაზი გაუსვა, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ტრიესტში აგებული უნდა იყოს დემოკრატიულ საწყისებზე, რომლებიც ითვალისწინებენ საყოველთაო და ფარული არჩევნების უფლებას და უზრუნველყოფენ მოსახლეობის უფლებებს.

ამასთან ერთად კონელმა აზრი გამოსთქვა ტრიესტში გუბერნატორის ძლიერი ძალაუფლების სასარგებლოდ. მან გადაჭრით სთქვა, რომ ტრიესტში ამჟამად არსებულ რეჟიმსა და თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის ძალაში შესვლას შორის გარდამავალ პერიოდში საჭიროა დაწესდეს დროებითი რეჟიმი. კონელს არ დაუზუსტებია, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ასეთი დროებითი რეჟიმი, და გულისხმობს თუ არა ამგვარი რეჟიმი ამერიკისა და ინგლისის ჯარების დატოვებას ტრიესტში. თავისუფალი ტერიტორიის სტატუტმა, განაგრძო კონელმა, უნდა უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა. რაც შეეხება ტრიესტის ეკონომიურ საკითხებს, კონელი დასჯერდა შენიშვნას, რომ საჭიროა მათი გულდასმით შესწავლა.

შეეხო რა მოლოტოვის მითითებებს ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიასა და იუგოსლავიას შორის საბაჟო უნიის საჭიროების შესახებ, კონელმა განაცხადა, რომ ეს საკითხი შემდგომში უნდა იქნას შესწავლილი. შესაძლოა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის მიმართ თავისი ვალდებულებათა შესასრულებლად დასჭირდეს შემოსავლის რაიმე განსაკუთრებული წყაროები. ამ შემთხვევაში ასეთი წყარო შეიძლება გახდნენ საბაჟო გადასახდელები, რასაც თავისუფალ ტერიტორიაზე გადაახდევინებენ.

კონელი შეეცადა დაემტკიცებინა იმ შიშის უსაფუძვლობა, რაც მოლოტოვმა გამოსთქვა ტრიესტის სამხედრო ბაზად გადაქცევის შესაძლო ცდების შესახებ. კონელმა განაცხადა, რომ სტატუტის ამერიკული პროექტი გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას, რამდენადაც მასში ლაპარაკია თავისუფალი ტერიტორიის ნეიტრალიზაციისა და დემილიტარიზაციის შესახებ.

დასასრულ ამერიკის წარმომადგენელმა მოუწოდა კომისიას იზრუნოს არა იუგოსლავიისა ან იტალიის ინტერესებისათვის, არა „რომელიმე კვადრატული კილომეტრი ტერიტორიის" ინტერესებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ინტერესებისათვის.

სხდომის დასასრულს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ, ვინაიდან ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის საკითხზე გამოსული ორატორთა სია ამოიწურა, საერთო კამათი ამ საკითხის გამო დამთავრებულად ითვლება. სტატუტის სხვადასხვა პროექტი განსახილველად გადადის ქვეკომისიებში.

პროტესტი ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიისათვის გემების დაბრუნებაზე ამერიკის შეერთებული შტატების უარის წინააღმდეგ

პარიზი, 16 სექტემბერი. (საქინის სპეც. კორ.). რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისიის დღევანდელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი რუმინეთის მიერ იმ გემების დაბრუნებისა, რომლებიც გაერთიანებული ერების მოქალაქეებს ეკუთვნით. ამასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წარმომადგენელმა აღძრა საკითხი ჩეხოსლოვაკიისათვის იმ გემების დაბრუნებაზე ამერიკის შეერთებული შტატების უარის შესახებ, რომლებიც ჩეხოსლოვაკიას ეკუთვნიან და ამჟამად ამერიკის კონტროლქვეშ იმყოფებიან დუნაიზე.

მიუხედავად ჩვენი არაერთგზისი ნოტებისა და პროტესტებისა, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა, ამერიკის შეერთებული შტატები, სრულიად უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად, კვლავ აკავებენ ჩვენს გემებს. ჩეხოსლოვაკია ამ კომისიაში წარმოდგენილ ქვეყანათაგან ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არა აქვს ზღვაზე გასასვლელი და თავისი საგარეო ვაჭრობის მხრივ თავის დუნაის ფლოტზე დამოკიდებულია. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები დღემდე აკავებენ ჩეხოსლოვაკიის 48 გემს, ე. ი. ჩეხოსლოვაკიის მთელი დუნაის ფლოტის ერთ მესამედზე მეტს. ამისათვის საჭირო არ არის არავითარი იურიდიული ან სხვა ფორმალური საფუძველი, ვინაიდან ამ გემების კუთვნილება დადგენილია და ისინი დაბრუნებულ უნდა იქნან. მდგომარეობა მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გამოცნობილ საკუთრებას უბრუნებენ ყოფილ მტრულ ქვეყანას—უნგრეთს, მაგრამ უარს ამბობენ იმაზე, რომ ასევე მოექცნენ მოკავშირე ჩეხოსლოვაკიას.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა აღნიშნა, რომ მისმა მთავრობამ ეს საკითხი უკვე გადასცა განსახილველად გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მაგრამ მის დელეგაციას არა სურს გაუშვას შესაძლებლობა ამ საკითხის აღძვრისა მოცემულ კომისიაში იმ იმედით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გადასინჯავს თავის პოზიციას. იუგოსლავიის დელეგაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავის მოვალეობად მიაჩნია შეუერთდეს ჩეხოსლოვაკიის პროტესტს, ვინაიდან იუგოსლავიისათვის არ დაუბრუნებიათ დუნაიზე მყოფი 168 გემი. ამ გემების დიდი ნაწილი ამერიკის კონტროლქვეშ იმყოფება. მაგრამ ამერიკის დელეგატმა ტორპმა საჭიროდ არ ჩასთვალა პასუხი გაეცა ამ კითხვებზე და დასჯერდა შენიშვნას, რომ ამ გემების დაბრუნების პრობლემა განხილულ იქნება გაერთიანებული ერების ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში.

საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვრის საკითხის განხილვა

პარიზი, 16 სექტემბერი. (საქინის სპეც. კორ.). ბულგარეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე დღეს გრძელდებოდა საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვრის საკითხის განხილვა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის 1-ლი მუხლის გამო, რომლითაც დადგენილია საზღვარი ბულგარეთთან, საბერძნეთის დელეგაციისაგან შემოვიდა შესწორება, რომლის შესახებაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წინასწარ განსახილველად გადაეცეთ სამხედრო კომისიას. მაგრამ ამ წინადადების თვით ფორმულირება თითქოს წინასწარ სწყვეტდა შესწორების მიღებას და სამხედრო კომისიას ამოცანად უსახავდა მის მხოლოდ დეტალიზებას.

საბერძნეთის შესწორებას, აგრეთვე საბერძნეთის დელეგაციის მიერ შეტანილ რეზოლუციას კრიტიკით გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ნ. ნოვიკოვი.

საბჭოთა დელეგაციამ და მთელმა რიგმა სხვა დელეგაციებმა აქ უკვე განაცხადეს, რომ საბერძნეთის ტერიტორიული მოთხოვნები დაუსაბუთებელია და რომ მათ ვერ მიიღებთ,—სთქვა ნ. ნოვიკოვმა.

საბერძნეთის დელეგაცია, — სთქვა ნოვიკოვმა,—დაჟინებით მოითხოვს, რომ სამხედრო ექსპერტებმა საბერძნეთისათვის შეიმუშაონ პირობები, რომლებიც ზრდიან საბერძნეთის სამხედრო ძლიერებას. მაგრამ ეს უფრო შესაფერი იქნებოდა არა საზავო კონფერენციაზე, არამედ ომის მოსამზადებელ კონფერენციაზე.

საბჭოთა დელეგაციის წინადადება შემდეგია: უარყოფილ იქნას საბერძნეთის შესწორება და ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის 1-ლი მუხლი მიღებულ იქნას იმ სახით, როგორც იგი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ არის რეკომენდებული.

სსრ კავშირის წარმომადგენლის თვალსაზრისს მხარი დაუჭირეს იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და ბელორუსიის დელეგატებმა.

საბერძნეთის დელეგაცია ცდილობს თავისი ტერიტორიული პრეტენზიები დაასაბუთოს „სტრატეგიული" მოსაზრებებით, — განაცხადა ბელორუსიის დელეგატმა ზინჩარამ. მაგრამ ყველა ჩვენგანისათვის აქ სავსებით ცხადია, რომ საბერძნეთის ტერიტორიული პრეტენზიები ბულგარეთის ტერიტორიისადმი ძლიერ შორს სცილდება ყოველ „სტრატეგიულ" მოსაზრებებს. მართლაც, საბერძნეთი პრეტენზიას აცხადებს არა მარტო მთიან პოზიციებზე, არამედ ბულგარეთის ნაყოფიერ ველზეც, რომელიც აქამდისავე წინდახედულად არის მდებარე. ჩვენ აქ მოწოდებული ვართ გადავწყვიტოთ საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვრის დადგენის საკითხი. ეს საკითხი ჩვენთვის ნათელია, და ბელორუსიის დელეგაციის წინადადება შემდეგია: უარვყოთ საბერძნეთის შესწორება და ხმა მივცეთ საზავო ხელშეკრულების პროექტის 1-ლ მუხლს, რომელიც წამოყენებულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ.

ვრცელი სიტყვით გამოსულმა ავსტრალიის დელეგატმა ჰოჯსონმა განაცხადა, რომ ავსტრალიის დელეგაცია ეთანხმება სსრ კავშირის წარმომადგენელს იმაში, რომ საბერძნეთის დელეგაციის მიერ შეტანილი შესწორება არაფრით არ არის დასაბუთებული. საზღვრების დადგენისა და ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი მეტისმეტად რთული და პასუხსაგები საკითხია, ამიტომ ავსტრალიის დელეგაციის წინადადება იქნებოდა შეიქმნას ქვეკომიტეტი საბერძნეთის შესწორების განსახილველად. მაგრამ ეს ქვეკომიტეტი ვერ იმუშავებს სამხედრო ექსპერტთა დასკვნის უქონლად, ამიტომ ავსტრალიის დელეგაცია მხარს უჭერს საბერძნეთის რეზოლუციას იმის შესახებ, რომ შესწორება წინასწარ განსახილველად სამხედრო კომისიას გადაეცეს.

საფრანგეთის წარმომადგენელმაც ხაზი გაუსვა, რომ „საბერძნეთის შესწორება სავსებით დასაბუთებული ვერ არის", და წინადადება შეიტანა მოეთათბირონ სამხედრო ექსპერტებს.

ამრიგად, კომისიის ზოგიერთმა წევრმა აღიარა ბულგარეთის ტერიტორიის მეათედ ნაწილზე საბერძნეთის დელეგაციის პრეტენზიების უსაფუძვლობა, მაგრამ მაინც სცადა ყოველგვარი საბაბით გაეტარებინა საბერძნეთის შესწორება თუნდაც სამხედრო კომისიაში წინასწარ განსახილველად მისი გადაცემის საშუალებით.

კომისიამ 8 ხმის უმრავლესობით 5 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომ საბერძნეთის შესწორება წინასწარ განსახილველად სამხედრო კომისიას გადაეცეს.

იტალიის ეკონომიურ საკითხთა კომისიაში

პარიზი, 16 სექტემბერი. (საქინის სპეც. კორ.). დღეს იტალიის ეკონომიურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა იტალიისა და ალბანეთის წარმომადგენელთა სიტყვები რეპარაციების შესახებ (გატაცებული ქონების დაბრუნება).

ალბანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მის მთავრობას მოეპოვება ამომწურავი ცნობები იტალიელი ოკუპანტების მიერ ალბანეთის გაძარცვის შესახებ. ალბანეთი დღემდე გაჭირვებაშია იტალიის მიერ გაძარცვის შედეგად. ალბანეთის მთელი ოქროს მარაგი გაიტანეს ალბანეთიდან და იტალიის ბანკში მოათავსეს.

ალბანეთის დელეგაცია აყენებს საკითხს იტალიელთა მიერ გატაცებული ხელოვნების საგნების დაბრუნებისა და ხელოვნების მოსპობილი საგნების თანაბარი ღირებულების საგნებით ანაზღაურების შესახებ. რაც შეეხება ალბანეთის ოქროს მარაგს, ალბანეთი მოითხოვს, რომ იგი დაუბრუნოს იტალიამ ან აუნაზღაუროს ოქროთი, რომელიც გატაცებულის თანაბარი იქნება წონითა და სინჯით.

შემდეგ სიტყვა მიეცა იტალიის წარმომადგენელს, რომელიც შეეცადა იტალიის რეპარაციები დამოკიდებული გაეხადა გერმანიის რეპარაციებზე. ამასთან მან მიუთითა მტაცებლობაზე, რაც იტალიაში გერმანელებმა ჩაიდინეს. იტალიის წარმომადგენელმა წამოაყენა აგრეთვე საკითხი იტალიისათვის მისი იმ სავაჭრო გემების დაბრუნების შესახებ, რომლებიც გაერთიანებული ერების ნავსადგურებში დაკავებულ იქნა იმ მომენტში, როცა იტალია 1940 წელს ომში ჩაება.

შემდეგ კომისიას უნდა განეგრძო რეპარაციათა ნაწილის განხილვა. მაგრამ კომისიის წევრები [illegible]ბითი საქმიანი მუშაობისათვის და მონაწილეობა მიიღეს ხანგრძლივ საპროცედურო დისკუსიაში, რაც მათ თავს მოახვია კომისიის თავმჯდომარემ [illegible] ბორიმ (ინდოეთი), რომელმაც არ ისურვა შესასრულებლად მიეღო კონფერენციის მიერ დადგენილი წესები მოწვეული ქვეყნების დელეგაციათა მოსმენისა.

როგორც ცნობილია, კონფერენციის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, ამ ქვეყნების წარმომადგენლებს, ყოფილი მტრული სახელმწიფოების დელეგატთაგან განსხვავებით, შესაძლებლობა ეძლევათ არა მარტო გამოსთქვან სხდომაზე თავიანთი თვალსაზრისი, არამედ დაესწრონ შემდგომში დისკუსიის დროსაც. მაგრამ კომისიის თავმჯდომარე ბორი შეეცადა გაეყვანა ალბანეთის დელეგატები მას შემდეგ, როგორც კი ისინი თავიანთი განცხადებით გამოვიდნენ. მას მხარი დაუჭირა ავსტრალიის დელეგაციამ.

საჭირო გახდა სსრ კავშირის წარმომადგენლისა და კომისიის სხვა წევრთა არაერთგზის გამოსვლა, რომ თავმჯდომარეს, ბოლოს, მიეწვია ალბანეთის დელეგატები კვლავ დაეკავებინათ ადგილები კომისიის მაგიდასთან და დასწრებოდნენ რეპარაციების საკითხის განხილვას. მაგრამ, ვინაიდან გვიან იყო, კომისიამ ვერ დაამთავრა ამ საკითხის განხილვა. სრულიად ფუჭად დაიკარგა სამი საათის სამუშაო დრო.

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის პროექტების განხილვა

პარიზი, 17 სექტემბერი. (საქინის სპეც. კორ.). საზოგადოებრიობის ყურადღება ამჟამად მიპყრობილია კომიტეტზე, რომელიც შექმნილია ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სტატუტის იმ პროექტების შესასწავლად, რაც წარდგენილია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის მთავრობების მიერ. როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი გაზეთი „მონდი" დღეს თავის მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, „ამ კომიტეტში უნდა გადაიჭრას საკითხი, რომელიც საზავო კონფერენციის საკვანძო პუნქტი ხდება".

იუგოსლავიის წარმომადგენელი პიადე კომიტეტის წინანდელ სხდომაზე თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ სტატუტის წარმოდგენილ პროექტებში უთანხმოებას იწვევს 53-ე პუნქტი. ამრიგად, კომიტეტის წევრებს დიდი სამუშაო მოელით.

დღეს კომიტეტის მუშაობა მიეძღვნა ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიაზე საკანონმდებლო ძალაუფლების საკითხს. ამ საკითხზე დღეს ხანგრძლივი დისკუსია გამოიწვია, რასაც მთელი სხდომა მოუნდა. ამასთან თვალში გვეცემოდათ ის განსაცვიფრებელი სიფრთხილე, რომლითაც ზოგიერთი დემოკრატიული სახელმწიფოს წარმომადგენლები უდგებოდნენ ელემენტარულ დემოკრატიულ დებულებათა მიღებას, როცა საჭირო იყო ამ დებულებათა გამოყენება ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიისადმი.

შედარებით მალე მიღებულ იქნა მხოლოდ ის უდავო დებულებანი, რომ ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიაზე გამოყენებულ უნდა იქნას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრა და რომ აქ უნდა იქნეს მხოლოდ ერთი პალატა. საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა ვიშინსკიმ შენიშნა, რომ ტრიესტის პირობებში საფუძველი არ მოიპოვება ორპალატიანი სისტემისათვის, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ორი პალატა არსებობს. მართალია, სთქვა ვიშინსკიმ, ინგლისის ორი პალატა—ლორდთა პალატა და წარმომადგენელთა პალატა — საბჭოთა კავშირის ორი პალატის — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ანალოგიური როდია. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, როგორც სჩანს, ყველანი შეთანხმდებიან იმაში, რომ ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიაზე საჭირო იქნება მხოლოდ ერთი პალატა.

ორპალატიანი სისტემის დასაცავად არავინ გამოსულა. მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივი კამათი გაიმართა იმის თაობაზე, თუ რა უნდა ეწოდოს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის წარმომადგენლობით დაწესებულებას. პოლონეთის წარმომადგენელმა ვინიევიჩმა წინადადება შეიტანა მოწონებულ იქნას საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებული სახელწოდება — სახალხო კრება. თავმჯდომარემ, ამ წინადადების საწინააღმდეგოდ, წამოაყენა სხვა სახელწოდება—ეროვნული კრება, ხოლო საფრანგეთის წარმომადგენელმა ვოლფრომმა განაცხადა, რომ ტრიესტში შესაქმნელ საკანონმდებლო ორგანოს საერთოდ არავითარი სახელწოდება არ მიეცეს მანამდე, სანამ თავისუფალი ტერიტორიის მოსახლეობა კონსტიტუციას არ მიიღებს. ამის წინააღმდეგ ვიშინსკიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ ტრიესტის დამფუძნებელი კრება არა მარტო მიიღებს, არამედ კიდევაც შეიმუშავებს კონსტიტუციას და რომ იგი, რა თქმა უნდა, გადასწყვეტს ბევრს საკითხს, რომლებიც აქ არ სწყდება, და სხვანაირად, ვიდრე ეს საკითხები აქ სწყდება. იგი, რა თქმა უნდა, თავის შესწორებებს შეიტანს, ვინაიდან ეს დამფუძნებელი კრება იქნება. მაგრამ საზავო კონფერენცია სტატუტს იმუშავებს, და მან ტრიესტის მოსახლეობას გარკვეული რეკომენდაციები უნდა მისცეს.

ვიშინსკი იცავდა წინადადებას სახელწოდება „სახალხო კრების" შესახებ. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ თვითონ უნდა გადასწყვიტოს კონსტიტუციის საკითხი, — სთქვა ვიშინსკიმ, — მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვირჩიოთ ისეთი სახელწოდება, რომელიც უფრო მისაღებად მოგვაჩნია. არა მგონია, რომ ვინმე იყოს სიტყვა „სახალხოს" წინააღმდეგი,—ეს ამაყად გაისმის, ეს დემოკრატიულად და სავსებით დასაბუთებულად გაისმის. ბერძნულ სიტყვა „დემოკრატიის" ზუსტი თარგმანი ნიშნავს ხალხის ძალაუფლებას. სახელწოდება სახალხო კრება უფრო ახლო დგას იტალიასთან საზავო კონფერენციის პროექტის მე-16 მუხლში გამოცხადებულ დემოკრატიულ პრინციპთან, რომლითაც წამოყენებულია წინადადება, რომ ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიაზე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება დემოკრატიულ საწყისებზე დამყარდეს.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი თითქოს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, საფრანგეთისა და ინგლისის დელეგაციების წარმომადგენლები ილაშქრებდნენ სახელწოდება „სახალხო კრების" წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ითქვას მხოლოდ „კრება", ან „ასამბლეა". ფრანგები, მართალია, თანხმდებოდნენ დაემატებინათ სიტყვა „სახალხო", მაგრამ შენიშნავდნენ, რომ ამ სიტყვას ასომთავრულით არ დასწერენ. ყოველივე ეს რაღაც ანეგდოტს ჰგავს, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ფაქტია. საბჭოთა დელეგატი ვიშინსკი იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ რუსულ ტექსტში ნათქვამი იქნება „სახალხო კრება", ამასთან სიტყვა „სახალხო" ასომთავრულით დაიწერება. შეიძლება ითქვას, რომ, როგორც დისკუსიამ გვიჩვენა, კომიტეტის ზოგიერთ წევრს სიტყვა „სახალხო" არ მოსწონს.

კიდევ უფრო ხანგრძლივი დისკუსია გაჩაღდა იმ საკითხზე, თუ რა სისტემით უნდა ჩატარდეს სახალხო კრების არჩევნები. საბჭოთა და იუგოსლავიის დელეგაციებმა წინადადება წამოაყენეს, რომ არჩევნები ჩატარდეს პროპორციული სისტემით. საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა ვიშინსკიმ დაასაბუთა ეს წინადადება და სთქვა:—საბჭოთა დელეგაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საკითხს. ეს პრინციპული საკითხია და არა ტექნიკური. პროპორციული სისტემა უზრუნველყოფს უმცირესობის შესაძლებლობას შესაბამისი რაოდენობით იყოლიოს თავისი კანდიდატები პარლამენტში. ტრიესტში არსებულ პირობებში პროპორციული სისტემა მეტად დიდმნიშვნელოვანია, და იგი უნდა მივიღოთ ისე, როგორც წინადადებას იძლევიან საბჭოთა და იუგოსლავიის დელეგაციები. სხვანაირად ტრიესტის ტერიტორიაზე ძნელი იქნება უმცირესობის ინტერესთა უზრუნველყოფა და, მაშასადამე, შეუძლებელი იქნება თავიდან ავიცილოთ ყოველნაირი უსიამოვნებანი, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას იმ შემთხვევებში, როცა ეს ინტერესები უზრუნველყოფილი არ იქნება. ამიტომ ჩვენ წინასწარ უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი. ეს არა მარტო სამართლიანი, არამედ პრაქტიკულად სასარგებლოც იქნება ეროვნული ინტერესების რთული ხლართის პირობებში. უმცირესობას პარლამენტში თავისი წარმომადგენელთა ყოლის საშუალება რომ არ მისცე, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი პარლამენტისადმი ოპოზიციაში ჩააყენო. ეს სიძნელეებს შეჰქმნის ახალ დემოკრატიულ საწყისებზე სახელმწიფოებრივი ცხოვრების მშენებლობის საქმეში. აი, რატომ ვიცავთ ჩვენ პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპს.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა ბებლერმა მხარი დაუჭირა ვიშინსკის წინადადებას და დასძინა, თუ მიღებულ არ იქნა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის სახალხო კრება 100 პროცენტით იტალიური გახდება.

მაგრამ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ბენეტმა შესაძლებლად ვერ ჩასთვალა მხარი დაეჭირა ამ პრინციპისათვის და ითხოვა, რომ დრო მისცენ მას „მოსაფიქრებლად". საფრანგეთის წარმომადგენელმა ვოლფრომმა განაცხადა, რომ არჩევნების პროპორციული სისტემის საკითხი ამჟამად საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას იპყრობს. მან მოაგონა კომიტეტის წევრებს, რომ ამ სისტემის საკითხისათვის კენჭისყრის დროს საფრანგეთის დამფუძნებელ კრებაში ხმები გაიყო: 273 დეპუტატმა ხმა მისცა მის სასარგებლოდ და 273-მა—წინააღმდეგ. ვოლფრომმა წინადადება წამოაყენა არჩეულ იქნას ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დამფუძნებელი კრება პროპორციული სისტემით, რათა შემდეგ ამ კრებამ თვითონ გადასწყვიტოს ის საკითხი, თუ მომავალში როგორ ტარდებოდეს არჩევნები.

ამაზე იუგოსლავიის წარმომადგენელმა ბებლერმა სამართლიანად შენიშნა, ამგვარი წინადადების მიღება ნიშნავს იმის წინასწარ განსაზღვრას, რომ პროპორციული სისტემა ტრიესტში დასამარებული იქნება. ხომ სავსებით ცხადია, რომ არჩევნების პროპორციული სისტემისას დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობას იტალიელები მიიღებენ, რომლებიც დაინტერესებული არ არიან ასეთი სისტემით და სრულებითაც არ გაუჭირდებათ მისი უარყოფა. მაგრამ ვოლფრომი დაჟინებით იცავდა თავის თვალსაზრისს.

სიტყვა აიღო ვიშინსკიმ. მან სთქვა:

— წინადადება არჩევნების პროპორციული სისტემის შემოღების, როგორც დროებითი სისტემის შესახებ, — მხოლოდ იმისათვის, რომ არჩეულ იქნას დამფუძნებელი კრება, საინტერესოა და წარმოადგენს მდგომარეობიდან გამოსავალს, მაგრამ... ეს გამოსავალია მხოლოდ თვით ვოლფრომისათვის, რომელიც შეწუხებულია იმით, რომ საფრანგეთის დამფუძნებელ კრებაში 273 დეპუტატი ხმას აძლევს ამ სისტემის სასარგებლოდ, ხოლო 273—წინააღმდეგ. მაგრამ ეს გამოსავალი როდია ტრიესტის მოსახლეობისათვის, სადაც 65 პროცენტს იტალიელები შეადგენენ და 34 პროცენტს იუგოსლაველები...

ვიშინსკიმ წინადადება წამოაყენა მიღებულ იქნას არჩევნების პროპორციული სისტემის პრინციპი და ჩაიწეროს იგი ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის მუდმივ სტატუტში, რის შესაბამისადაც შემუშავდება მისი კონსტიტუცია.

ვინაიდან არჩევნების პროპორციული სისტემის წინააღმდეგ ახლა არავის, გარდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლისა, არ გამოუთქვამს აზრი, თავმჯდომარემ წინადადება წამოაყენა შეიქმნას ქვეკომისია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენელთაგან სტატუტის იმ მუხლის საბოლოო რედაქტირებისათვის, რომელიც ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საკანონმდებლო ძალაუფლებას ეხება. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა გაიმეორა თავისი შენიშვნა იმის შესახებ, რომ იგი კვლავ ითხოვს, რათა მას დრო მისცენ „მოსაფიქრებლად". მიუხედავად ამისა, წინადადება სტატუტის 1-ლი მუხლის რედაქტირებისათვის ქვეკომისიის შექმნის შესახებ მიღებულ იქნა.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 16 სექტემბერს უშიშროების საბჭომ განაახლა განხილვა უკრაინის სს რესპუბლიკის განცხადებისა იმის შესახებ, რომ საბერძნეთის მთავრობის პოლიტიკა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. პირველი გამოვიდა პოლანდიის წარმომადგენელი ვან კლეფენსი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი იზიარებს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ავსტრალიის, ბრაზილიის დელეგატების და სხვათა აზრს იმის შესახებ, რომ მანუილსკის თითქოს „არ დაუსაბუთებია" მის მიერ წამოყენებული ბრალდებანი. ვან კლეფენსმა, გარდა ამისა, წამოაყენა წინადადება, რომელსაც მიზნად აქვს ხელი შეუშალოს უკრაინის განცხადების მსგავს განცხადებათა განხილვას უშიშროების საბჭოში. მან სთქვა, რომ ასეთი განცხადებანი ჯერ უნდა წარედგინოს სამი წევრისაგან შემდგარ ქვეკომისიას, რომელიც გადასწყვეტს, ეს საკითხი საერთოდ არსებითია თუ არა, რომ ღირსი იყოს საბჭოს სხდომაზე განხილვისა.

შემდეგ გამოვიდა ავსტრალიის დელეგატი ხეზლაკი, რომელმაც ოფიციალურად შეიტანა წინადადება შესწყდეს უკრაინის განცხადების განხილვა და გადავიდნენ დღის წესრიგის შემდგომი პუნქტის განხილვაზე. გაიმეორა რა წინათ წამოყენებული მოსაზრებანი უკრაინის განცხადების „ფორმის" წინააღმდეგ, ხეზლაკი ამტკიცებდა, თითქოს საბერძნეთის სიტუაცია არ მოითხოვდეს დაუყოვნებლივსა და განსაკუთრებულ ღონისძიებებს.

შემდეგ გამოვიდა ა. ა. გრომიკო, რომელმაც წარადგინა შემდეგი რეზოლუცია:

„უშიშროების საბჭო აღნიშნავს:

რომ უკანასკნელ ხანს საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარზე უფრო და უფრო ხშირდება სასაზღვრო ინციდენტების შემთხვევები, რასაც პროვოკაციულად იწვევენ საბერძნეთის აგრესიული მონარქისტული ელემენტები, რომლებიც ცდილობენ ასეთი გზით გამოიწვიონ შეიარაღებული კონფლიქტი საბერძნეთსა და ალბანეთს შორის საბერძნეთის სასარგებლოდ სამხრეთ ალბანეთის მოწყვეტის მიზნით;

რომ საბერძნეთის მთავრობის მიერ საბერძნეთში ეროვნულ უმცირესობათა დევნა, რაც ეროვნულ შუღლს აღვივებს, ამწვავებს საბერძნეთის ურთიერთობას მის მეზობელ სხვა ხალხებთან;

რომ საბერძნეთის აგრესიული მონარქისტული ელემენტების თავაშვებული პროპაგანდა, რომლებიც მოითხოვენ ამ ხალხების კუთვნილი ტერიტორიების ანექსიას, ჰქმნის მდგომარეობას, გართულების საშიშროებას ბალკანეთში, სადაც გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების მიერ მოპოვებული გამარჯვების შედეგად პირველად არის შექმნილი საფუძველი ბალკანეთის ქვეყნების დემოკრატიული განვითარებისათვის, მათი მჭიდრო თანამშრომლობისათვის მტკიცე და ხანგრძლივი ზავის დამყარების საქმეში;

რომ თავიანთ დამპყრობლურ პოლიტიკაში საბერძნეთის აგრესიული მონარქისტული ელემენტები ისწრაფვიან გამოიყენონ შედეგები ფალსიფიცირებული პლებისციტისა, რომელიც 1 სექტემბერს ჩატარდა ტერორისა და პოლიტიკური ცხოვრებისაგან სხვადასხვა მიმართულების ყველა დემოკრატიული პარტიის ჩამოშორების პირობებში. აგრეთვე საბერძნეთის ტერიტორიაზე ინგლისის ჯარების ყოფნა, რომლებიც, მიუხედავად დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის არაერთგზისი განცხადებისა იმის შესახებ, რომ ეს ჯარები გაყვანილი იქნებოდნენ 1946 წლის 31 მარტის არჩევნების შემდეგ, დღემდე რჩებიან საბერძნეთის ტერიტორიაზე;

რომ ყველა ეს გარემოება ჰქმნის გაერთიანებული ერების წესდების 34-ე მუხლით გათვალისწინებულ სიტუაციას და საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას.

მოყვანილი მოტივების გამო უშიშროების საბჭო ადგენს დაევალოს საბერძნეთის მთავრობას: ჯერ ერთი, მიიღოს ზომები გაერთიანებული ერების წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად საბერძნეთ-ალბანეთის საზღვარზე აგრესიული მონარქისტული ელემენტების პროვოკაციული მოქმედების დაუყოვნებლივი ლიკვიდაციისათვის; მეორე, დაევალოს საბერძნეთის მთავრობას შეწყვიტოს აგიტაცია საბერძნეთსა და ალბანეთს შორის ვითომდა არსებული ომის მდგომარეობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ალბანეთი ცდილობს დაამყაროს ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობა მასთან; მესამე, შესწყვიტოს საბერძნეთში ეროვნულ უმცირესობათა დევნა, როგორც ისეთი, რომელნიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების წესდების 1-ლი მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფებს; მეოთხე, დატოვებულ იქნას უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში საკითხი საფრთხის შემცველი სიტუაციის შესახებ, რაც შეიქმნა საბერძნეთის მთავრობის მოქმედების შედეგად, მანამდე, ვიდრე იგი არ შეასრულებს უშიშროების საბჭოს მიერ მისთვის წარდგენილ რეკომენდაციებს".

შემდეგ თავმჯდომარემ ლანგემ გამოაცხადა, რომ მან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისაგან მიიღო 15 სექტემბრით დათარიღებული წერილი, რომელსაც ხელს აწერს ფედერაციის გენერალური მდივანი საიანი. წერილში გაშუქებულია საბერძნეთის პროფკავშირების მდგომარეობა. ლანგემ განაცხადა, რომ ამ განცხადების პირები ამჟამად მზადდება და საბჭოს წევრთა შორის იქნება გავრცელებული.

ამის შემდეგ გამოვიდა დ. ზ. მანუილსკი. შეეხო რა ვან კლეფენსის წინადადებას იმის შესახებ, რათა შეზღუდულ იქნას განცხადებათა შეტანა უშიშროების საბჭოში, მანუილსკიმ განაცხადა, რომ ვან კლეფენსი პრაქტიკულად წინადადებას იძლევა შეიცვალოს გაერთიანებული ერების წესდება და გვთავაზობს „გილიოტინას", რომელიც აღკვეთდა საჩივართა შესვლას უშიშროების საბჭოში და ამ საჩივრებს ხელს შეუშლიდა მიეღწიათ საბჭოს სხდომათა მაგიდამდე".

მანუილსკიმ აღნიშნა, რომ გაერთიანებულმა ერებმა უნდა დაიცვან წესდება, რომელიც ესოდენ ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე. ამ მომენტში კადოგანმა სიტყვა შეაწყვეტინა მანუილსკის და განაცხადა, რომ მანუილსკის მთელი გამოსვლა მას მიაჩნია „დღის წესრიგის საწინააღმდეგოდ", ვინაიდან იგი დაკავშირებული არ არის მანუილსკის მიერ უშიშროების საბჭოში წამოყენებულ განცხადებასთან.

შემდეგ გამოვიდა გრომიკო, რომელმაც პროტესტი განაცხადა კადოგანის ჩარევის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ ასეთი ჩარევა არა მარტო ეწინააღმდეგება პროცედურის წესებს, არამედ საღ გონებასაც ეწინააღმდეგება. გრომიკომ განაცხადა, რომ პირადად მას ერთხელ თუ ორჯერ შეაწყვეტინა სიტყვა შეერთებული სამეფოს დელეგატმა. და მიუთითა, რომ, მისი აზრით, საბჭომ უნდა აღკვეთოს ასეთი პრაქტიკა, რომელიც შეუთავსებელია უშიშროების საბჭოს ღირსებასთან. მან აღნიშნა, რომ შეერთებული სამეფოს დელეგატს უფლება არა აქვს თავისი აზრი გამოიტანოს იმის შესახებ, რის თქმაც სურთ საბჭოს წევრებს ან სხვა მთავრობათა მოწვეულ წარმომადგენლებს. თუ ვინმე არ ეთანხმება რომელიმე გამოსვლას, მას სრული უფლება აქვს გამოსთქვას თავისი თვალსაზრისი ამ გამოსვლის შემდეგ.

ამის შემდეგ ლანგემ წინადადება მისცა მანუილსკის განეგრძო სიტყვა.

მანუილსკიმ უპასუხა, რომ, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე წევრი აღძრავს საბჭოში საკითხს ინდონეზიაში არსებული ხაშიში და მღელვარე სიტუაციის შესახებ და ამასთან დაიმოწმებს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას წესდების 1-ლი მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ან თუ ვინმე დაიმოწმებს წესდების 76-ე მუხლს ზოგიერთი ქვეყნის მიერ ავტონომიის მოთხოვნასთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს უფლება უნდა ჰქონდეს განიხილოს ასეთი საჩივრები. კადოგანი კი მაინც ამტკიცებს, რომ საბჭომ ისინი არ უნდა განიხილოს. მანუილსკიმ გაიმეორა, რომ ვან კლეფენსის წინადადება უდრის წესდების 35-ე მუხლის გადასინჯვის წინადადებას. მან აღნიშნა, რომ წინააღმდეგია ვან კლეფენსის წინადადებისა არა მარტო საბერძნეთის სიტუაციასთან დაკავშირებით, არამედ საერთო საფუძველზეც. საბჭო არ უნდა დაეთანხმოს ვან კლეფენსის წინადადებას. დასასრულ მანუილსკიმ განაცხადა, რომ მას უფლება აქვს მოიყვანოს თავისი საწინააღმდეგო მოსაზრებანი და გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო, რომ კადოგანი სადავოდ ხდის ამ უფლებას.

საფრანგეთის დელეგატმა პაროდიმ განაცხადა, რომ საბჭო ახლა, ალბათ, კარგად არის ინფორმირებული სიტუაციის შესახებ და სავსებით შეუძლია შეუდგეს გადაწყვეტილების მიღებას.

საკითხის განხილვის განგრძობა გადატანილია 17 სექტემბრისათვის. 16 სექტემბრის სხდომაზე პოლონეთის დელეგატმა ლანგემ დაამთავრა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება. საბჭოს წევრებმა ლანგეს მადლობა გადაუხადეს.

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

ტოკიო, 17 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ძიძი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 12 სექტემბერს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც იგი იაპონიის მშრომელ მასებს მოუწოდებს საყოველთაო გაფიცვისაკენ მეზღვაურთა და რკინიგზელთა მაგალითის მიხედვით. „სამრეწველო რეკონსტრუქციის მომიზეზებით", — ნათქვამია განცხადებაში, — იაპონიის მთავრობამ და კაპიტალისტებმა დაიწყეს პირდაპირი შეტევა მუშათა წინააღმდეგ. შეუდგნენ მათს მასობრივ დათხოვნას, მაშინ როდესაც მუშები ეროვნული აღდგენის ძირითადი ფაქტორი უნდა იყვნენ. თუ მთავრობა გაიმარჯვებს მეზღვაურებსა და რკინიგზელებზე, ეს მას და კაპიტალისტებს წააქეზებს ყველა მუშათა წინააღმდეგ შეტევაზე გადასასვლელად. ამასთან დაკავშირებით, ნათქვამია განცხადებაში, მეზღვაურები და რკინიგზელები მუშათა კლასის ავანგარდი არიან.

ახლანდელ კონფლიქტში გამარჯვების მიღწევის ერთადერთი გზაა ყველა მუშათა მიერ თავიანთი მოთხოვნების წარდგენა მეწარმეთათვის და გაფიცვა. მთელი მშრომელი მასების მძლავრ გაერთიანებულ ბრძოლას შეუძლია დაამარცხოს კადნიერი ბიუროკრატები, კაპიტალისტები და მემამულეები პოლიტიკური დემოკრატიზაციის ინტერესთა სასარგებლოდ და ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელთა დროსაც მრეწველობა სამართლიანად იქნება გარდაქმნილი.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტრუმენის განცხადების შესახებ

ლონდონი, 15 სექტემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი რენკინი სწერს, რომ ვაშინგტონში ტრუმენის განცხადებას თვლიან, როგორც უოლესზე ბირნსის დიდ პოლიტიკურ გამარჯვებას. ამჟამად ბირნსის პოზიციები გაძლიერებულია მისი იმ უნარის დემონსტრაციით, რომ აიძულოს პრეზიდენტი უკან წაიღოს თავისი მოწონება იმ განცხადებისა, რომელიც მთავრობის სხვა წევრმა გააკეთა საგარეო პოლიტიკის შესახებ. მთელი ამ ეპიზოდის ფრიად სერიოზული მსხვერპლი იქნება პრეზიდენტ ტრუმენის პრესტიჟი და ავტორიტეტი როგორც შეერთებულ შტატებში, ისე მთელ მსოფლიოში.

კლეიტონის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 18 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა კლეიტონმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, იგი მოელის, რომ უოლესმა და კაბინეტის სხვა წევრებმა ამიერიდან სახელმწიფო დეპარტამენტს განსახილველად უნდა წარუდგინონ ყველა სიტყვა, რომელიც საგარეო პოლიტიკას შეეხება.

შეკითხვაზე, ემყარება თუ არა მისი განცხადება 16 სექტემბერს ტრუმენთან გამართულ თათბირსო, კლეიტონმა უარყოფითად უპასუხა, მაგრამ გაიმეორა, ვფიქრობ, ეს ღონისძიება მიღებული იქნებაო.

შეკითხვაზე, მოელის თუ არა იგი, რომ უოლესის შემდეგი პოლიტიკური სიტყვა წინასწარ წარდგენილი იქნება სახელმწიფო დეპარტამენტის განსახილველად, კლეიტონმა დადებითად უპასუხა.

უპასუხა რა შემდგომ შეკითხვებზე, კლეიტონმა აღიარა, უოლესს საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ მისი სიტყვა, რომელიც მან წარსულ კვირას წარმოსთქვა, მთლიანად იყო მოწონებული მას შემდეგ, როცა იგი მან ტრუმენს წარუდგინა.

უპასუხა რა შეკითხვაზე, გამოსთქვა თუ არა უოლესმა მზადყოფნა წარუდგინოს თავისი სიტყვები სახელმწიფო დეპარტამენტსო, კლეიტონმა განაცხადა, რომ უოლესის მიერ უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმის დროისათვის მას არ ჰქონია საუბარი უოლესთან და არ იცის, ჰქონდა თუ არა საუბარი ბირნსს უოლესთან ან უოლესს ტრუმენთან.

შეკითხვაზე, ვალდებული იქნება თუ არა უოლესი შეათანხმოს თავისი სიტყვები სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკასთან, კლეიტონმა უპასუხა, რომ მან ეს არ იცის.

უოლესის სიტყვა

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ვაჭრობის მინისტრმა უოლესმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა მედისონ სკვერ-გარდენში ორგანიზაციების „მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა დამოუკიდებელი სამოქალაქო კომიტეტის" და „პოლიტიკური მოქმედების ეროვნული სამოქალაქო კომიტეტის" წევრთა მასობრივ მიტინგზე, დაგმო „მტკიცე პოლიტიკა" რუსეთის მიმართ და პროპაგანდა ომისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უოლესმა დაგმო განცხადება ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორ დიუისა, რომელმაც აზრი გამოსთქვა იმის სასარგებლოდ, რომ ინგლისთან კავშირი უნდა გახდეს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მთავარი ღერძი. უოლესმა განაცხადა, რომ ასეთი პოლიტიკა უდიდესი სისულელე იქნებოდა. „ჩვენ ნება არ უნდა მივცეთ რესპუბლიკური პარტიის რეაქციულ ხელმძღვანელობას,—სთქვა მან,—ასეთ პოზიციაში ჩაგვითრიოს. ჩვენ საშუალება არ უნდა მივცეთ ინგლისის მანიპულაციებს, რომელთა მიზანია ძალთა თანასწორობის დამყარება, განსაზღვრონ—უნდა ჩაებან თუ არა შეერთებული შტატები ომში და როდის... ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში რუსების მისწრაფებასთან ერთად—იმითვე მიუზლოს—შეერთებულ შტატებს პირდაპირ მიიყვანენ ომთან, თუ ჩვენ არ გვექნა საკუთარი, ნათლად ჩამოყალიბებული რეალისტური პოლიტიკა. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ომი და უზრუნველვყოთ არსებობა მტკიცე მშვიდობით, საჭიროა, რათა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს იქით ვიცქირებოდეთ საკუთარი თვალით და არა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ან პრობრიტანული, ანტირუსული პრესის თვალით. ამასთან დაკავშირებით მე მინდა, რომ ერთი რამ ნათლად იქნეს გაგებული. მე არა ვარ განწყობილი არც ანტიბრიტანულად, არც პრობრიტანულად, არც ანტირუსულად და არც პრორუსულად. სწორედ ორი დღის წინათ, როდესაც ტრუმენმა ეს სიტყვები წაიკითხა, სთქვა: ისინი ჩემი მთავრობის პოლიტიკას გამოხატავენ".

უოლესი მტკიცედ მოუწოდებდა შეერთებულ შტატებს ენერგიულად ისწრაფვოდნენ მშვიდობისაკენ და ამისათვის შეისწავლონ, როგორ ყალიბდებოდა რუსული ხასიათი.

უოლესმა უარჰყო შეერთებული შტატების ეგრეთწოდებული „მტკიცე პოლიტიკა" სსრ კავშირის მიმართ და სთქვა, რომ „მკაცრად მოპყრობას არასოდეს არ გამოუწვევია მართლაც მტკიცე რამ არც მოჩხუბარ მოწაფეთა ურთიერთობაში, არც საქმიანი ადამიანების ან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთობაში. რამდენადაც უფრო მტკიცე ვიქნებით ჩვენ, იმდენადვე უფრო მტკიცე იქნებიან რუსები".

უოლესმა აღნიშნა, რომ მსოფლიოში არსებობს მრავალი რეაქციული ელემენტი, რომელთაც სურდათ ღერძის ქვეყნების გამარჯვება, ხოლო ამჟამად დიდ მეგობრობას უცხადებენ შეერთებულ შტატებს. ეს გუშინდელი მტრები და დღევანდელი დიდი მეგობრები მუდამ ცდილობენ პროვოკაციულად გამოიწვიონ ომი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. მათ ნამდვილად როდი უყვართ შეერთებული შტატები, ისინი ოცნებობენ მხოლოდ იმ დღეზე, როდესაც შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს მოსპობენ. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენი პოლიტიკა რუსების მიმართ წარიმართებოდეს ან იმათ გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს, ვისაც შეერთებული შტატების შიგნით თუ მათი საზღვრების გარეთ სურს ომი საბჭოთა კავშირთან. ეს შემრიგებლობას როდი ნიშნავს. ჩვენ უდრესად პატიოსნად გვსურს მშვიდობა საბჭოთა კავშირთან, მაგრამ გვინდა, რომ მას შუაგზაზე შევხვდეთ. ჩვენ გვსურს თანამშრომლობა, და მე მგონია, რომ მივაღწევთ თანამშრომლობას თუ რუსეთი გაიგებს, რომ არც ბრიტანეთის იმპერიის გადარჩენა, არც ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლის ფასად ნავთის შეძენა ახლო აღმოსავლეთში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ჩვენ არ შეგვიძლია ნება მივცეთ ჩვენს ამერიკელ კონკურენტებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ნავთით, ომში ჩაგვითრიონ. ყველა ერმა, რომლებიც ნავთს ამზადებენ თავიანთ ქვეყნებში ან მათი საზღვრების გარეთ, უნდა შეასრულონ ის ვალდებულებანი, რაც ჩაწერილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში და ხელი შეუწყონ მსოფლიო ნავთის მარაგის მოპოვებას, რათა მიღებულ იქნას მაქსიმალური რაოდენობის ნავთი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის სამართლიან და მშვიდობიან საფუძველზე და არა ბრძოლის საფუძველზე, რაც ომს იწვევს. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირს შეუძლია შეინარჩუნოს ჩვენი პატივისცემა გაერთიანებულ ერებთან თანამშრომლობის გზით უწინაზრახვო, მოქნილი ურთიერთობის სულისკვეთებით. საჭიროა ნამდვილი სამშვიდობო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის".

უოლესმა აღნიშნა: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა აღიარონ, რომ მათ „არა აქვთ იმაზე მეტი უფლება აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ საქმეებში, ვიდრე რუსეთს ლათინური ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების პოლიტიკურ საქმეებში", და შემდეგ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის შეხედულებათა სხვადასხვაობა ომისშემდგომი მშვიდობის მოწყობის საქმეში ბუნებრივია, მაგრამ ამასთან გაიმეორა საყოველთაოდ ცნობილი მსჯელობანი იმის შესახებ, რომ „ინგლისი, დასავლეთ ევროპა და შეერთებული შტატები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ რუსეთის პოლიტიკა გერმანიაში არ გახდება დასავლეთ ევროპის წინააღმდეგ რუსების განზრახვის იარაღი", აგრეთვე მსჯელობანი, რომ რუსები იმორჩილებენ კომუნისტებს დასავლეთ ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, შეერთებულ შტატებში.

„ჩვენ უნდა გვაღიაროთ,—განაგრძო უოლესმა,—რომ ბალკანეთი საბჭოთა კავშირთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ჩვენთან, და რომ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია ნება მისცეს არც ინგლისს და არც შეერთებულ შტატებს გაბატონებული პოლიტიკური მდგომარეობა დაიკავონ ამ რაიონში. ჩინეთი განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს და, თუმცა ჩინეთს მსოფლიოში ყველაზე უფრო გრძელი საზღვარი აქვს საბჭოთა კავშირთან, საერთაშორისო მშვიდობის ინტერესები მოითხოვენ, რომ ჩინეთი რამე გავლენის, პოლიტიკური ან ეკონომიური გავლენის სფეროს გარეთ დარჩეს. ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, რომ ვაჭრობისა და ეკონომიური განვითარების შესაძლებლობათა კარი ფართოდ იყოს ღია ჩინეთში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში. მაგრამ ვაჭრობისა და ეკონომიური განვითარების შესაძლებლობის ღია კარი ჩინეთში აზრს ჰკარგავს, თუ არ იქნება გაერთიანებული, დამშვიდებული ჩინეთი, აგებული ამ ქვეყნის სხვადასხვა ჯგუფების თანამშრომლობისა და გარედან მის პოლიტიკაში სრული ჩაურევლობის საფუძველზე, ჩვენ კვლავ ყელამდე ვიარაღდებით. სამხედრო მიზნებისათვის გაწეული განსაკუთრებული ხარჯები წარმოადგენენ ჩვენი ბიუჯეტის დაუბალანსებლობის მთავარ მიზეზს. გადასახადების შესამცირებლად ჩვენ უნდა გვქონდეს რუსეთთან ნამდვილი მშვიდობის საფუძველი. მშვიდობისა, რომელსაც ვერ დაარღვევს ექსტრემისტთა პროპაგანდა. სოციალური და ეკონომიური სამართლიანობის რუსული იდეები განაგებენ მსოფლიოს თითქმის ერთ მესამედს. თავისუფალი აღებ-მიცემისა და დემოკრატიის ჩვენი იდეები განაგებენ დანარჩენი მსოფლიოს მეტ ნაწილს. შეხედულებათა ორი სისტემა ეცდება დაგვანახვოს, თუ რომელ მათგანს შეუძლია მეტი კმაყოფილება მიანიჭოს საშუალო ადამიანს პოლიტიკური ბატონობის შესაბამის სფეროებში".

უოლესმა აქვე სთქვა, რომ „ურთიერთ შეთანხმებით ეს შეჯიბრება აგებულ უნდა იქნას მეგობრობის საფუძველზე" და სსრ კავშირისაგან მოითხოვა „შეწყვიტოს იმ მოქმედებისათვის ხელის შეწყობა", რომელიც თითქოს მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ მსოფლიოს ზოგიერთ რაიონში, და დასძინა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც „უნდა შესწყვიტონ გეგმების შემუშავება რუსების წინააღმდეგ მსოფლიოს სხვა ნაწილებში". „რუსეთი,—სთქვა უოლესმა,—დარწმუნებული უნდა იქნეს, რომ ჩვენ არ ვამზადებთ ომს მის წინააღმდეგ, ხოლო ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიქნეთ, რომ რუსეთი არ ცდილობს განახორციელოს ტერიტორიული ექსპანსია ან მოიპოვოს მსოფლიო ბატონობა. იდეოლოგიური კონფლიქტი მუდამ იარსებებს. მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს იმის მიზეზი, რომლის გამოც დიპლომატებს არ შეეძლოთ შექმნან საფუძველი ორივე სისტემის უშიშრად არსებობისათვის ერთმანეთის გვერდით. როგორც კი რუსეთის შიში ამერიკის ხენატს შეუსუსტდება პრაქტიკულ. რეგიონალურ და პოლიტიკურ შეზღუდვათა გზით, დარწმუნებული ვარ, რომ შეშფოთება ვეტოს უფლების გამო მნიშვნელოვნად შემცირდება. მაშინ გაერთიანებულ ერებს მართლაც მეტი ძალაუფლება ექნებათ იმ მხარეებში, რომელთაც ჰქონდათ საერთაშორისო და არა ადგილობრივი მნიშვნელობა.

უოლესმა ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის უზრუნველყოფილ იქნას კონკურენციის გარეშე მდგომი სამხედრო ძლიერება, და განაცხადა, რომ „უნდა დაწესდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლი სტრატეგიულად განლაგებულ საჰაერო ბაზებისადმი, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა გარს შემოარტყეს მსოფლიოს", და რომ საჭიროა აკრძალოს ცალკე ერებს ატომური ბომბების, სამართავი ყუმბარებისა და სამხედრო თვითმფრინავ — ბომბდამშენთა წარმოება. „რეალისტურად რომ ვიმსჯელოთ, — სთქვა უოლესმა, — ყველაზე მეტი, რისი იმედიც შეიძლება ამჟამად გვქონდეს, არის სამხედრო ხარჯების შემცირება და მშვიდობის ხანგრძლივი პერიოდის დამყარება, დაფუძნებული დიდი სამეულის ურთიერთნდობაზე. ამავე დროს უნდა ვიხმაროთ ყოველგვარი ღონისძიება, რათა რაც შეიძლება მალე შეიქმნას საერთაშორისო უფლებათა კომპლექსი, დამყარებული მორალურ პრინციპებზე და არა მოტყუების, ძალისა და უნდობლობის მაკიაველისებურ პრინციპებზე, რომლებიც, თუ კვლავ იქნენ გამოყენებულნი, თანამედროვე მშვიდობას სწრაფად დაარღვევენ". „ჩვენი ხალხი მშვიდობისმოყვარეა, — სთქვა დასასრულ უოლესმა, — მაგრამ იგი ხშირად თავს ძალიან გვიან იჩენს ხოლმე, ვინაიდან თანამედროვე მოვლენები ბევრად უფრო ჩქარა ვითარდებიან, ვიდრე საზოგადოებრივი აზრი. ხალხი აქ, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ახალი ომი გარდუვალი არ არის, და მასობრივი მიტინგებით, როგორც ეს მიტინგია, აგრეთვე ბროშურებში მუდმივი გაშუქებით ხალხი შეიძლება განწყობილ იქნას მშვიდობისმოყვარედ მაშინაც კი, თუ ჩვენი პრესის მეტი ნაწილი ხალხში ომის პროპაგანდას ეწევა იმ იმედით, რომ დაამხოს საბჭოთა კავშირი. და ჩვენ, ვინც ამ ლაპარაკს საბჭოთა კავშირთან ომის შესახებ დანაშაულებრივ სისულელედ ვთვლით, უშუალოდ უნდა მივმართოთ ხალხს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ კომუნისტებს გვიწოდებენ იმის გამო, რომ გავბედეთ ჩვენი აზრი გამოგვეთქვა. მე ვფიქრობ, რომ მშვიდობის საკითხი — ისეთი მშვიდობისა, რომელიც მე დღეს დავახასიათე, — ძირითადი პრობლემა იქნება როგორც კონგრესის საარჩევნო კამპანიის დროს ამ შემოდგომაზე, ისე პრეზიდენტის არჩევნების დროს 1948 წელს".

თავისი სიტყვის სხვა ნაწილებში უოლესი შეეხო მთელ რიგ საშინაო-პოლიტიკურ და საერთაშორისო პრობლემებს, დაგმო ზანგების ლინჩება ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოითხოვა შეიქმნას პირობები მსოფლიო ვაჭრობის ოდენობის გასადიდებლად და სხვ.

იუგოსლავიის დელეგაციას ამერიკელ სლავთა კონგრესზე უარი უთხრეს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეშვებაზე

ბელგრადი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ ბელგრადში უარი უთხრა ვიზის მიცემაზე იუგოსლავიის სლავური კომიტეტის დელეგაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწვეულ ამერიკელ სლავთა მესამე კონგრესზე.

იუგოსლავიის პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ტრიესტში იუგოსლაველი ჯარისკაცების დაპატიმრებასთან დაკავშირებით

ვაშინგტონი, 16 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უაიტმა განაცხადა, რომ 16 სექტემბერს დილით იუგოსლავიის საელჩომ სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა საპროტესტო ნოტა იმ იუგოსლაველი ჯარისკაცების დაპატიმრებისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ, რომლებიც ტრიესტში ინჩრის მცველებად იყვნენ. უაიტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა წინასწარი ანგარიში მიიღო ამერიკის წარმომადგენლისაგან ტრიესტში, მაგრამ რა კი ანგარიშს უწევს იუგოსლავიის ნოტას, იგი დამატებითს ინფორმაციას მოითხოვს.

დე გოლის მომხრეთა აქტივიზაცია საფრანგეთში

პარიზი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ამ უკანასკნელ დღეებში გავრცელებულმა ხმებმა იმის შესახებ, რომ გენერალმა დე გოლმა გადასწყვიტა დაებრუნდეს პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზს მემარჯვენე პარტიებზე დაყრდნობით, სერიოზული დადასტურება ჰპოვა. 15 სექტემბერს მარსელში სიტყვა წარმოსთქვა „დეგოლელთა კავშირის" თავმჯდომარემ რენე კაპიტანმა, რომელმაც განაცხადა, რომ „დეგოლელთა კავშირმა" გადასწყვიტა მომავალ პოლიტიკურ არჩევნებში საფრანგეთის ყველა დეპარტამენტში წამოაყენოს თავისი კანდიდატები და რომ გენერალი დე გოლი მხარს დაუჭერს „დეგოლელთა კავშირის" საარჩევნო კამპანიას.

როგორც კაპიტანის გამოსვლიდან, აგრეთვე დე გოლის მომხრე გაზეთებიდან („მონდი", „ეპოკი", „ორორი" და სხვ.) ჩანს, „დეგოლელთა კავშირის" წინასაარჩევნო კამპანია მიმართული იქნება საფრანგეთის ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ, რომელიც, დეგოლელთა აზრით, ზღუდავს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებებს.

ამ უკანასკნელ დღეებში საფრანგეთის თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება დე გოლის განზრახვებისადმი.

როგორც ირკვევა, გარდა „დეგოლელთა კავშირისა", რომელშიც რამდენიმე ათასი კაცი გაერთიანდა, დე გოლის განზრახვას სათავეში მოექცეს ხელისუფლებას მხარს უჭერენ რეაქციული „რესპუბლიკური პარტია თავისუფლებისა", რადიკალთა პარტიის ნაწილი, აგრეთვე „რესპუბლიკურ-სოციალისტური პარტია". ყველა ეს პარტია გამოვიდა საჯარო განცხადებებით დე გოლისათვის მხარდაჭერის შესახებ.

„თავისუფლების რესპუბლიკური პარტიის" ყრილობამ, რომელიც 14 სექტემბერს პარიზში შესდგა, ძირითადად მიეძღვნა დეგოლელთა აქტივიზაციის ფაქტისადმი ამ პარტიის დამოკიდებულების განსაზღვრას.

მომხსენებელმა საერთო პოლიტიკის საკითხზე ანდრე მიუტერმა განაცხადა: „ჩვენ თითქმის ყველაფერში ვეთანხმებით გენერალ დე გოლს". მიუტერმა წინადადება წამოაყენა შეიქმნას იმ პარტიების ანტიკომუნისტური საარჩევნო ბლოკი, რომლებიც მხარს უჭერენ გენერალ დე გოლს, და ამ ბლოკს ეწოდოს „საზოგადოებრივი ხსნის რესპუბლიკური კოალიცია". მიუტერის აზრით, ეს ბლოკი გააერთიანებდა „თავისუფლების რესპუბლიკურ პარტიას", „დეგოლელთა კავშირს", მემარცხენე რესპუბლიკელთა გაერთიანებას, დამფუძნებელი კრების „დამოუკიდებელ" დეპუტატთა ჯგუფს (პოლ რეინო და სხვები), აგრეთვე ეგრეთწოდებულ „აგრარულ პარტიას", რომელიც დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილია 7 დეპუტატით.

„თავისუფლების რესპუბლიკური პარტიის" საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე რამარონი დაეთანხმა მიუტერის წინადადებას სხვა მემარჯვენე პარტიებთან საარჩევნო ბლოკის შექმნის შესახებ და წინადადება წამოაყენა გაფართოვდეს ეს ბლოკი მასში „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის (მრპ) მნიშვნელოვანი ნაწილის მოზიდვით.

ყრილობის დელეგატთა ნაწილმა რადიკალებთან და მრპ-სთან ბლოკის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოსთქვა, ვინაიდან მათ „თავისუფლების რესპუბლიკური პარტიის" საერთოდ საიმედო დასაყრდენად არ სთვლის ხელისუფლების სათავეში დე გოლის ჩადგომისათვის ბრძოლაში.

ყრილობამ მიიღო საერთო ხასიათის რეზოლუცია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს „თავისუფლების რესპუბლიკური პარტიის" მომავალ კომიტეტს დაიწყოს მოლაპარაკება ანტიკომუნისტური საარჩევნო ბლოკის შექმნის შესახებ არა მარტო „დეგოლელთა კავშირთან", არამედ რადიკალთა პარტიასთან და მრპ-სთანაც.

15 სექტემბერს პარიზში შესდგა „რესპუბლიკურ-სოციალისტური პარტიის ყრილობა", რომელმაც აგრეთვე სურვილი გამოსთქვა მხარი დაუჭიროს გენერალ დე გოლს. ყრილობას „რესპუბლიკურ-სოციალისტური პარტიის" საარჩევნო ტაქტიკის შესახებ გარკვეული გადაწყვეტილება არ მიუღია და ამრიგად თავის ხელმძღვანელობას უფლება მისცა ყოველგვარი საარჩევნო ბლოკი შეჰკრას.

ჰარი პოლიტის მიმართვა ინგლისელი ხალხისადმი

ლონდონი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ინგლისის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა გამოაქვეყნა მიმართვა ინგლისელი ხალხისადმი, რომელთაც მოუწოდებს მას მხარი დაუჭიროს კომუნისტურ დემონსტრაციებს, რომლებიც 22 სექტემბერს ჩატარდება მთელ ინგლისში.

ბულგარეთის სახელმწიფო მოსამსახურეებმა ფიცი დასდეს რესპუბლიკისადმი ერთგულებაზე

სოფია, 17 სექტემბერი. (საკდესი). სოფიის რადიო გადმოგვცემს, რომ გუშინ დილით ყველა სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეებმა ფიცი დასდეს ხალხისა და სახალხო რესპუბლიკისადმი ერთგულებაზე. ფიცის დადება ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები გამოსთქვამდნენ მზადყოფნას მთელი ძალღონე მოახმარონ სახალხო რესპუბლიკის წარმატებით მშენებლობას.

არჩევნების შედეგები მეკლენბურგისა და ბრანდენბურგის პროვინციებში

ბერლინი, 16 სექტემბერი. (საკდესი). 15 სექტემბერს გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში დამთავრდა სათემო თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები. ამ დღეს არჩევნები ჩატარდა ბრანდენბურგისა და მეკლენბურგის პროვინციებში. გერმანიის სოციალისტურმა ერთიანმა პარტიამ ამ პროვინციებში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო.

ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენის გამოქვეყნება გადადებულია 30 სექტემბრამდე

ნიურნბერგი, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა საქმეზე განაჩენის გამოქვეყნება მოხდება ორშაბათს, 30 სექტემბერს.

იტალიის კომუნისტური პარტიის რაოდენობა

რომი, 17 სექტემბერი, (საკდესი). გაზეთ „უნიტას" კორესპონდენტთან ინტერვიუში იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა პიეტრო სეკიამ განაცხადა, რომ 1945 წლის დეკემბრიდან 1946 წლის ივნისამდე იტალიის კომუნისტური პარტიის წევრთა რიცხვი 1,762,000-დან 2,125,000-მდე გადიდდა.

ქეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

20 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საწარმოთა დირექტორებისა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთათვის შესდგება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ალავიძის ლექცია თემაზე: **„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა".**

20 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ამხ. კალანდაძის კონსულტაცია ფილოსოფიაში.

ლექცია

20 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი პლეხანოვის სახელობის კლუბში აწყობს პროფესორ ათაბეგოვის ლექციას თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში და კლუბის სალაროში.

თეატრებში

20 სექტემბერს: **სახელმწიფო ოპერა** — „დარეჯან ცბიერი". **რუსთაველის სახელობის**—„ერთი ღამის კომედია". **მარჯანიშვილის სახელობის**—„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". **გრიბოედოვის**—„ოდესღაც". **სომხური**—„სურამის ციხე". **ახუნდოვის სახელობის** — „გულთა დამმონებელი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ბაში-აჩუკი".

კინოებში

20 სექტემბერს: **რუსთაველის სახელობის და კომკავშირელი** (ზამთრის)—„დავით გურამიშვილი". **ოქტომბერი**—„ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება". **დამკვრელი** (საზაფხულო) — „უჩინარი იანი", (ზამთრის)—„რაიკომის მდივანი". **ლუქსემბურგის სახელობის**—„მშვენიერი ვასილისა". **სპარტაკი** — „ოთხთა გული".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის დირექცია მაყურებელთა უკეთ მომსახურების მიზნით 1946-47 წლის სეზონში უშვებს
აბონემენტებს 10 სერიად
თითო 10 წარმოდგენისა (3 ახალი, 7 განახლებული დადგმით).
დაკვეთის მიღება თეატრის სალაროში დღის 11 საათიდან 3 საათამდე. ტელეფონი № 3—64—12.

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ტექნოლოგიის გაერთიანებული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 1 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის კლუბში (მარის ქ. № 35), ინჟინერი **ა. კიჩხუაშვილი** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტში ქრომირების რეჟიმის საკითხისათვის".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი **გ. გედევანიშვილი,** მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **კ. ამირაჯიბი,** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. ცქიფურიშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **ანა იაკობის-ასულმა კოზლოვამ,** მცხოვრებმა ტელმანის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე კოზლოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სვიატოსლავ ნიკოლოზის-ძე კორსუნსკიმ,** მცხოვრებმა ფიროსმანის ქ. № 9, აღძრა საქმე კამოს ქ. № 73 მცხოვრებ მოქალაქე **ირინე ვიქტორის-ასულ კორსუნსკისთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

შვილი ხუტუნა, შვილიშვილი ნინო იუწყებიან **მარიამ მელიტონის-ასულ ლორთქიფანიძე-პურადაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/IX, 7 ს. გამოსვენება 21/IX, 6 ს. პეროვსკაიას, 10.

მეუღლე ნინო შვილებით, ძმა კონსტანტინე, სიძე ვანო დიასამიძე ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ გაბრიელის-ძე ხოფრომაძის** გარდაცვალებას, პანაშვიდი 20/IX, 7 ს. გამოსვენება 21/IX, 6 ს. ქ. ბორჯომში, მოლოტოვის, 25.

პროფესორი დავით კობახიძე ოჯახით იუწყება, სიძის, მასწავლებელ **გრიგოლ რაჟდენის-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/IX. ვანში (ვანის რაიონი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების 3-81-65, გამომცემლობის 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 23.

ტირაჟი 110.000

უე 09688